ყოველდღიური გაზეთი
ფასი 10 კაპ.
შაბათი, 11 თებერვალი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი.
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

33 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 33

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ღირება 13 მ.—75 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

თავადნი: ალექსანდრე, კონსტანტინე, არჩილ და გიორგი ნიკოლოზის ძენი ბაგრატიონ-დავითაშვილები ოჯახობ თურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, მათის დედის

კნეინა სალომე სულხანის ასულის
ბაგრატიონ-დავითაშვილის

გარდაცვალებას.

მიცვალებულს დაკრძალავენ კვირას, თებერვლის 12, დილის 11 საათზე, სოფ. აბანოში.

(1—572—1)

ნესტორ ლუკას ძე შავდია და შვილები მისი: მაშიკო, ლენკო და ვანიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის წირვა და პანაშვიდი—პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო მეორეთა დაუფასებელ დედის

ოლღა ივანეს ასულის
შავდიას

სულის მოსახსენებლად. ხოლო დღის პირველ საათზე გადახდილი იქნება მეორე პანაშვიდი და მოხდება ძეგლის კურთხევა განსვენებულის საფლავზე წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(1—525—1)

ახალი კლუბი

შაბათს, 11 თებერვალს,

ქართული სახელოვნო საზოგადოება
თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გამართავს

დიდს საღამოს

პროგრამა:

1) ოპერა ლაკმე, ქართულად, მეორე მოქმედება. მუსიკა დელიბესი, ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით.
2) ციგანთა ბარონი, პირველი მოქმედება. მუსიკა, ზუპესი, ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
3) ეროვნული ცეკვა სცენ ზე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება ახალ კლუბში და ძმური ნუგეშის საჩაიეში.

საღამოს დიასახლისი კნ. ნ. კ. ჩოლოყაშვილისა.

მთავარი გამგე თავ. მ. დ. ჭავჭავაძე

(3—560—3)

შაბათს, 11 თებერვალს 1917 წ.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში
მოხეტიალე მუსიკოსი

ილიკო ქურხული

გამართავს

ლექცია-დილას.

პირველ და მეორე განყოფილებაში წაიკითხავს თავის „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან“, რომელიც სხვა და სხვა დროს დაბეჭდილი იყო „რუსკია ვედომოსტი“-ებში და სხვა გამოცემებში, შემდეგის შინაარსით:

რამ მაიძულა სკრიპკით ეზო-ეზო მევლო. ჩემი პირველი ნაბიჯი. გაცნობა და პირველი გაკვეთილები ქუჩის მეარღნე ახმედასაგან მუსიკის მოქმედება მოსკოველ მილიონერებზედ. „დევნა“ მუსიკის გამო. მხატვრულ მუსიკის გავლენა ხალხზედ. განსაკუთრებული თვისებანი ჩემის აუდიტორიისა. მსმენელთა წერილები. სამეცნიერო კითხვები.

მესამე განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსთა ნაწარმოებს თავის „საეზოო“ რეპერტუარიდან.

ფისგარმონიაზედ აჰყვება ბ. ზ. ფალიაშვილი.

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-მდე ◆ დასაწყისი დილის 12 საათზე.

ბილეთები ამთავითვე იყიდება ხიმონას კიოსკში, კელლერის მუსიკალურ სავაჭროში—გოლოვანისკზედ, ქართულ საჩაიე „ძმურ-ნუგეშში“ და თეატრის კასაში.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობაში
კვირას, 12 თებერვალს,
საღამო

ვასო აბაშიძისა.

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. „ძუნწი“ კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა.

II. „ხოსიას ღელე“ კომ. 1 მოქ. გადმ. ი. ზარდალიშვილისა.

III. საკონცერტო განყოფილება
მ. ა. ვოლფ-იზრაილის მონაწილეობით.

დასაწყისი სალ. 8½ საათზე ◆ ბილეთები იყიდება კასაში.

(2—567—2)

სახალხო სახლი

დღეს, საღამოს, სახ ხახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ
წრის საშუალებათა გასაძლიერებლად

გაიმართება საღამო.

წარმოდგენილი იქნება:

1. მაღაროს უფროსი მუშა
2. სიძე-სიმამრი
3. საკონცერტო განყოფილება

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ბ. ლეჟავა, ტერ-პეტროსიანი, ჭუმბურიძე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ◆ ადგილების ფასი 15 კ.—2 მ.-დე.

(1—571—1)

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
თბილისის განყოფილების

დამფუძნებელი კრება

გაიმართება 12 თებერვალს.

კრებამ, სხვათა შორის, განყოფილების გამგეობის წევრნი უნდა აირჩიოს. გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელიც ამ ჟამად წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების წევრად ითვლება და ამას გარდა გადახდილი აქვს 1917 წლის საწევრო ფული, ან გადიხდის კრების დღემდე. საწევრო ფულს იღებს განყოფილების დროებით გამგეობის წევრი ივანე ავალიშვილი წ.-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

(3—566—3)

კ. გ. კაპანელი

იბეჭდება და მალე გამოვა ახალი ორიგინალური ნაწარმოები

ტანჯვა და შემოქმედება

(რუსულად)

შინაარსი: 1. Fiat lux, 2. მეცნიერულ მსოფლმხედველობის მეტაფიზიკური ღირებულება, 3. ნივთიერების გასულდგმულება, 4. რელიგია და მეცნიერება, 5. მისაღებია თუ არა ეს ცხოვრება, 6. ინდივიდუალობა და საზოგადოება, 7. ტანჯვა და შემოქმედება, 8. ტანჯვა ნების შემოქმედებაში, 9. ტანჯვის იდეა ქართულ ლიტერატურაში, 10. ორმაგი სიყვარული, 11. „ყურანი“ და „მერანი“, 12. სიტყვა და სინამდვილე, 13. იდეა ქართველ ერისა, და სხვა.

ხელის მოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: Тифлисъ. Дворцовая, Общество Грамотности Груз. Зав. книж. магазиномъ Ивану Авалишвили. ხელის მომწერთათვის წიგნის ფასი—2 მ. გამოსვლის შემდეგ წიგნი ეღირება 2 მ. 50 კ. წიგნი გამოვა აპრილის 15—20, 1917 წ.

(6—526—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

შაბათს, 11 თებერვალს,

რუს არტისტთა მიერ გაიმართება

ოპერეტტა

კვირას, 12 თებერვალს, რუსულ ენაზედ გაიმართება

კონცერტი-კაბარე

სტუმრები საზოგადო წესით ◆ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ოპერეტაზე და კონცერტზე შესვლა უფასოა.

(1—573—1)

მევენახეთა საყურადღებოთ

სადგურ სადახლოზე (ყარსის რკ. გზა)

მარიამ მიხეილის ასულ ლოლობერიძის მამულში

იყიდება

ამერიკულ მწარე ვაზზე (რუპესტრო დულოზე) ნამყენი: რქა-წითელი, თეთრი შოსლა და ალექსანდრიის მუსკატი. თითო ძირის ფასი ორი შაური.

მისამართი: სადგური სადახლო (ყარსის რკ. გზ.) მარიამ მიხ. ლოლობერიძისას, ხოლო თბილისში: საუფლისწულო (უდელის) ქ. № 7, საკუთარი სახლი.

(2—496—2)

ბურჟუაზიული სოფელი

ევროპის სოფელი დიდი ხანია დაემკვიდრა ბურჟუაზიულს ოჯახში. არა მარტო მსხვილი მეურნენი, მამულის დამუშავებას კაპიტალისტურ წესით რომ აწარმოებენ, არამედ წვრილი მესაკუთრე გლეხიც, რომელიც საკუთარის შრომით და ჯაფით აპოხიერებს თავის მცირე მიწას ქონებრივი მდგომარეობით, რწმენით თუ მისწრაფებით ბურჟუაზიას უერთდება. ფრანგისა და გერმანელ გლეხის ნაწარმოებს ხშირად ამერიკელი იანკი შეექცევა, სამაგიეროდ, ჩვენი მეურნენიც საჭირო იარაღს, სასუქსა და სხვა საქონელს, შესაძლოა ქვეყნის მეორე სანაპიროდან ღებულობდენ.

კერძო საკუთრების კულტი და შეძენის წყურვილი სოფლის მწარმოებლებსაც ისეთივე მტკიცე და შეურყეველი აქვთ, როგორც ქალაქის ვაჭარმრეწველთ. წარმოების დაუსრულებელი ზრდა-განვითარების სურვილი—კაპიტალისტურ ხანის ეს დაუცხრომელი ლტოლვაც არ არის მათთვის უცნობი. ასეთი სულისკვეთება ისადგურებს დაწინაურებულ ქვეყნებში, რამდენადაც კი შესაძლოა ეს სასოფლო მეურნეობის მყუდრო და მიდუნებულ ცხოვრებაში.

ამიტომ შინაური პოლიტიკა, სავაჭრო და საბაჟო ხელშეკრულობები, თუ უილსონის საზავო ნოტა, შესაძლოა ერთნაირ გრძნობას იწვევდეს ბავარიელ გლეხისა თუ ბერლინელ სოვდაგრის გულში. სოციალურ ცხოვრების ურყეველი საფუძველი—კერძო საკუთრება და კაპიტალისტური სულისკვეთება უხილავის ძაფებით აკავშირებს მათ.

და გულუბრყვილობა რომანტიკოსების ოცნების ნაყოფი უფრო ეხლა, ვინემ სინამდვილე. მინდვრები დაისერა ლიანდაგებით და გზა ტკეცილებით. გამჭვირვალე ცის კამარას ხშირად ეკვრება ქარხნების კვამლი და მის იდუმალ მყუდროებას არა ერთხელ არღვევს ორთქლმავალის მწარე ხვნეშა. ქალაქმა თავისი ზღუდეები გადალახა, მყუდრო სოფელში შეიჭრა და იქ თავისი დაუდგრომლობა, მოძრაობა და ხმაურობა შეიტანა.

ჩვენმა სოფელმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა უმანკოება და მიუკარებლობა. უგზო მთა-ველნი და მდინარენი იფარავენ მას ქალაქის დაუცხრომელ მისწრაფებისაგან. ამასთანავე ჩვენი ქალაქებიც ჯერ-ჯერობით სუსტნი და უმოქმედონი არიან. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებას თავისი წესი და კანონი აქვს. ევროპის ქვეყნების ცხოვრება ჩვენშიაც იდგამს ფეხს და ქართველი გლეხიც თანდათან ითვისებს დაწინაურებულ მოძმის ყოფა-ცხოვრებას. იმერეთის ზოგიერთს კუთხეში გლეხობა დიდს საალებ-მიმცემო აქტივობას იჩენს. სამტრედიელმა და ხონელმა მეურნემ თავის ნაწარმოებთა ბაზრის კარებს უკვე მიაგნო. ხილს და დაფნას ის კულაშელ ებრაელს ძვირად მიჰყიდის; ხშირად ლონდონშიაც მიმართავს დავით ლამბაშიძის კანტორას, მის საქონლის ინგლისში გაზიდვის შესახებ და ისეთის კილოთიაც, თითქოს მოლაპარაკებას ეწეოდეს არა სოფლელი მეურნე, რომელსაც ასი ფუთი დაფნა მოსდის და ათასი კვერცხი, არამედ მსხვილი და დახელოვნებული ექსპორტიორი!

ამ ომიანობამაც დიდათ ხელი შეუწყო ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ გაცხოველებას. ბევრგან სიმშილი დასადგურდა, ბევრგან კი ბოროტება და ავკაცობა, მაგრამ ამასთანავე საზოგადოებაში წარმოიშვა ახალი სულიერი განწყობილება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავლისთვის. ხალხში დაგროვდა დიდძალი ფული. ვინც წინეთ მანეთობით ითვლიდა, დღეს ასობით ანგარიშობს. რასაკვირველია, თვით ეხლანდელი ფული ისე არ ფასობს, როგორც წინეთ, მაგრამ ხალხში სულიერ განწყობილებას ხშირად არა სინამდვილე, არამედ მისი წარმოდგენა და ჩვენება ჰბადებს. ხალხში ათასების დაგროვებაც ასეთს სასწაულს ჩადის და ამით აიხსნება, რომ დღეს ჩვენში ძლიერ ბევრი ჰკიდებს ხელს საიჯარო და სხვა და სხვა სახის საალებმიცემო საქმეებს. ასეთი სულისკვეთება სოფელშიაც შეიჭრა. უბრალო გლეხებიც სცდილობენ სავაჭრო საქმეებში ჩაბმას. ამას ხელს უწყობს კოოპერაციაც, რომელიც დღეს მთავრობის ერთგვარ მფარველობის ქვეშ იმყოფება და კერძო ვაჭრობის მეტოქეობისაგან დაცული, ფართედ ვითარდება. ჩვენი სოფლის კოოპერატივებისა და წვრილ საკრედიტო დაწესებულებების მოღვაწენი ეცნობიან თანამედროვე ალებ-მიცემობის წესებს, საქონლის და ბაზრის თვისებებს და მით იგნებენ ეკონომიურ საქმიანობის ძალას და მნიშვნელობას. მრავალი მათგანი, ასეთი ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილნი, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებიან ალებ-მიცემობას და მით მცირე რიცხოვან ვაჭარ-მრეწველთა კლასს ძალას შეჰმატებენ და გაამრავლებენ.

მრისხანე მარსმა ჩვენს სამშობლოს სიკვდილის ცელთან ერთად ცხოველმყოფელ ძალის თესლიც მოავლინა. მისი აღმოცენება და აყვავება იქმნება საფუძველი ჩვენის ერის ყოველმხრივ აყვავებისა.

ა. ახათიანი.

ჩვენის ეკონომიკის საფრთხე

ფართო საზოგადოებისა და თვითმმართველთა წრეებშიც გავრცელებულია და გაბატონებული ის აზრი, რომ ომიანობის აუარებელ მოთხოვნილება-გაღებული დიდი თანხები სულ ერთიანათ ვაჭარ-მრეწველთა ხელშია დაგროვილი და რომ ეს გარემოება საკმარისია საზოგადოების ვითომდა გამდიდრებისათვის.

აქ მცნებათა აშკარა აღრევას აქვს ადგილი, „სიმდიდრეზე“ ნურას ვიტყვით. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ 1914 წლის ზაფხულიდგან მოკიდებული, ჩვენის ხალხის შრომის საერთო ჯამი უსათუოთ მატულობს, და ეგ შრომა განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი თავდაცვისაკენ არის მიმართული, ჯარისა და მისი ზურგის გამაგრებას ემსახურება. ისიც მართალია, რომ ამ შრომის სანაცვლოთ ჩვენი მშრომელი მასა ღებულობს რიცხვით მეტ საეკვივალენტო ნიშნებს, მეტ ნომინალურ ღირებულებათ (Nennuerte), ვიდრე ამას ექნებოდა ადგილი ნორმალურ, მშვიდობიანობის პირობებში. შრომის პროგრესიულათ ზრდასთან მოჰყვა მისი საეკვივალენტო ნიშნებისა, ე. ი. ფულის, მანეთის სახით რიცხვითი გამრავლება, მათი დაგროვება მშრომელთა და ვაჭარ-მრეწველთა ხელში. შრომა სახელმწიფოსათვის, მით უმეტეს არსებულ პირობებში, საჭირო მასალათა, ნივთიერ სიმდიდრის სასარგებლოთ გარდაქმნაა და მისი ზრდა ნამდვილი წყაროა მიუცილებელ ენერგიისა მთელი სახელმწიფო ორგანიზმისათვის. მაშინ როდესაც სახელმწიფოს მიერ შრომის სანაცვლოთ გაღებული საეკვივალენტო ნიშნების ღირებულება კი სწორედ უკუქცეულათ იცვლება: 1) საეკვივალენტო ნიშნებს, ფულის ერთეულს ანუ მანეთს რეგრესიულათ ეკარგება ყიდვითი ძალა (Kau'jkrajt), ეკარგება ღირებულება შრომასა და შრომის ნაყოფთან ანუ რეალიებთან შედარებით. ყოველი დიდსა და ხანგრძლივათ გაჭიანურებული ომიანობის დროს ისტორიაში აგეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი და არც გასაკვირია, წინაალმდეგ, მოსალოდნელიც იყო, რომ აგეთი მოვლენა ამ ომიანობის დროსაც გამეორდებოდა და შემდეგშიაც უფრო და უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ფულის ღირებულების (და არა ფასის) დაკარგვა ანუ დევალუცია დიდ მინუსათ უნდა შევიდეს დაგროვილ ფულის საერთო ჯამში. ეგ მინუსი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია პროცენტი მანეთის დაკარგულ ღირე-

ბულებისა, როგორც შინაურ ბაზარზე, სადაც ჩვენ სიმწვავეს ვერა ვგრძნობთ, რადგან ჩვენს მანათს ჯერ მეტოქე არა ჰყავს, ისე გარეშე ბაზარზე, რომლის გახსნა, ომის გათავების შემდეგ, ერთბაშათ და მოულოდნელათ გაანახევრებს მანათის ღირებულებას, რადგან უკეთ დაცული ღირებულება ნეიტრალ და ეკონომიურათ უფრო მძლავრ სახელმწიფოთა ფულისა მეტ ყიდვითს უნარს თუ ძალას გამოიჩენს; 2) სახელმწიფოს თუ ესპროპრია, მთავრობას შეუძლია და ზომებიც აქვს მიღებული დაგროვილ კაპიტალზე განსაკუთრებული, რამოდენიმე პროცენტიანი გადასახადი შემოიღოს. მიმდინარე ანგარიშზე შენახულ კაპიტალისტებს ბანკებში უკვე გაუკეთეს საერთო აღწერა დიდ ქალაქებში და შესაფერი გადასახადიც იქნება მოთხოვილი. ამ გზით მთავრობა, თუმცა სრულიად კანონიერის გზით, მაგრამ მაინც თვითონვე უკან დაიბრუნებს ახალ გადასახადის სახით იმ საეკვივალენტო ნიშნების მთელი ჯამის ერთ ნაწილს, რომელიც მანვე გაიღო შესაფერისი შრომის სანაცვლოთ. ეს გარემოება გააძლიერებს სახელმწიფოს საშუალებათ, მაგრამ ბევრს დააკლებს ჩვენი ეკონომიკის საერთო მსვლელობას, მოძრავ საშუალებათა საერთო ჯამს (Flüssige Mittel) ანუ დაგროვილ კაპიტალის რაოდენობას. ეს გარემოებაც, ცხადია, სათანადო ღირსებით უნდა შევიდეს ჩვენის ახლო მომავლის ფინანსიურ ვითარებისა და მოსაზრებათა საერთო რგოლში. 3) თუ სახელმწიფოს მდგომარეობა მოითხოვს, მთავრობას შეუძლია ნაძალადევი სესხიც გამოაცხადოს და ვალდებული გახადოს ყოველი მეპატრონე—თავისი კაპიტალის განსაკუთრებული ნაწილი—20, 30 ან მეტი % სახელმწიფოს სესხის განაღდების საქმეში მოათავსოს და ობლიგაციები შეიძინოს. ამ მოვლენასაც იგივე მნიშვნელობა ექნება საზოგადოთ სახელმწიფოსათვის და კერძოთ ჩვენთვის, როგორც ზემო მოყვანილ მაგალითსა; და ორივეს ერთად კი ის შედეგი მოჰყვება, რომ 4) ჩვენის ეკონომიკის მოძრავ საშუალებათა (ფულის) საერთო ჯამის შემცირების გზით მეტი გასავალი, მეტი ადგილი, მეტი გასაქანი ეძლევა უცხოელთა კაპიტალს. ეჭვს გარეშეა, რომ უზომოთ გამდიდრებულ, ფულით გალაღებულ ნეიტრალ სახელმწიფოთა კაპიტალისტები თავიანთ დიდ კაპიტალებს ვერას გზით ვერ [illegible] უცხო ქვეყნებში მოსათავსებელ წარმოებათ თავიანთი თანხებისათვის და ომის შემდეგ ხომ ეგ ძებნა საერთო ციებად გადაექცევათ უცხოელ კაპიტალისტებს. რასაკვირველია, ისინი, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მეზობელ აზიურ ქვეყნებს, ოსმალეთს, სპარსეთს და ჩვენ, კავკასიას, გვესტუმრებიან. მათი კაპიტალი სასტიკი მეტოქე იქნება ჩვენ ვაჭარ-მრეწველთათვის, მათი საეკვივალენტო ერთეულს მარკას, დოლარს თუ გირვანქა სტერლინგს მეტი ყიდვითი ძალა ექნება, ვიდრე ჩვენს მანათს; ჩვენი კაპიტალი ისედაც დასუსტებული იქნება ზემო აღნიშნულ გარემოებათა საშუალებით და ამას დაუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ უცხოელ კაპიტალისტთა საერთო მომზადება, გაწრთვნილობა, **ბაზრის ცოდნა** ჩვენის საქონლისათვის ევროპაში დიდ ძალას შემატებს მოსულთ ადგილობრივ ელემენტთან ქარიშხალისებურ ბრძოლა-კონკურენციაში.

თუ მომავალს კარგი მომზადებული არ დავხვდით, ფრიად სამწუხარო და კომიკურ სახეს მიიღებს ჩვენი „ფულით გამდიდრება“. ამისათვის კი ერთი გზაა: ჩვენი ვაჭარ-მრეწველთა პატარ-პატარა ჯგუფებათ საწარმოო მიზნისათვის აქედანვე შეკავშირება, რომ საერთო ძალებით დროზე დაიუფლონ მკვიდრმა ელემენტმა ყველა **მთავარი წარმოებანი**; თუ ამ თავიდგან ფეხი მოვიდგით მთავარ, დიდ წარმოებებში, უცხოელი კაპიტალისტები წვრილ წარმოებისათვის აქ ვერ გაჩერდებიან და მათ იერიშს დროზე ექნება გაკვეთებული შესატყვისი საფარი. ამით ავაცდენთ ჩვენს მშრომელ ხალხს უცხოელთაგან ეკონომიურათ დაბეჩავების საშინელ განსაცდელს. მათ, ვისაც ბედმა არგუნა მაღალი და სანუკვარი პატივი ეკონომიურ დაწესებულებათა სათავეში ყოფნისა, მათ, ვისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ვისი თანამდებობა პირდაპირ აკავშირებს ჩვენთა ვაჭარ-მრეწველთა წრესთან,—სწორეთ მათ ჰხამსთ უწინარეს ყოვლისა ენერგიული, თავგამოდებული შრომა და ჯაფა, აქედანვე შეუდგნენ ვაჭრებისა და მრეწველების პატარ-პატარა ჯგუფებათ შეკავშირებას და მსხვილ წარმოებათა დროზე გაჩაღებას. დიდი მნიშვნელობა ექნება ამ მხრივ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკს, რომელიც ძალიან გაუადვილებს შრომას ვაჭარ-მრეწველთ ეროვნულ კაპიტალის საწარმოო მიზნებისათვის სამობილიზაციოდ.

ტიტე მარგველი.

ქუთაისი.

ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე **ბ. ნ. ლორთქიფანიძე საზოგადოებრივის აზრის მნიშვნელობას ეხება და ამბობს:**

„რიცხვით და სივრცით პატარაა ჩვენი ქვეყანა; თან მჭიდროთ დასახლებული. ხასიათი ადვილათ შემგუებელი გვაქვს. ინგლისელთან და გერმანელთან უბრალო დაახლოებას თუ წლები სჭირდება, ჩვენ დილით რომ გავეცნობით ერთმანეთს, სადამოს უკვე მეგობრები ვართ. ამიტომაც ჩვენ ერთმანეთს დაახლოვებით ვიცნობთ. ვიცით ერთმანერთის სრული თავგადასავალი. ასეთს პირობებში მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული საზოგადოებრივი აზრი დიდ სამსახურს გაგვიწევდა მავნე პირთა ასალაგმავად და სასურველ მოვლენათა გასავრცელებლათ.

თითქოს განგებ, ამ ძალასაც უკუთურათ ვხმარობთ.

ტრაგიკულათ გადაცვალებულის ილია ჭავჭავაძის დევნა ყველას ახსოვს. ვინც სდევნიდა იგი ხომ ულმობელი იყო, მაგრამ სად ბრძანდებოდნენ ისინი, რომელნიც შემდეგში თავზე ნაცარს იყრიდნენ და ქვეყანას ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს მათაც არ შეეტანოთ მიუტევებელ სიჩუმით ილიას მკვლელობაში თავისი წვლილი.

ისე აუხირდით ნ. ნიკოლაძეს, ისე მოვწამლეთ ჰაერი მის გარშემო, ისე დავამცირეთ, რომ ქუთაისის ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრთაც კი გავაშავეთ.

როგორ ადვილათ მოვიშორეთ გულიდან თ. ჟორდანია, ილ. ხონელი, ღვ. კეზელი, ლ. ყიფიანი და ამ უკანასკნელ ხანაში ბ. კაკაბაძე. თითქოს მათთან კამათი კი არ იყო საჭირო, არამედ დევნა, რომ შეცდარი ადამიანი სრულიად გაბრაზებული ჩამოშორებოდა ჩვენს საზოგადოებას და ზოგჯერ მტერთა გასახარებლად ემოქმედნა.

რა ერთი ჩამოვთვალო?

მწერლობა ჩვენში უბრალო მოწინააღმდეგეთ სასიკვდილოთ სდევნის... და საზოგადოებრივი აზრი, ამ არასასურველ მოვლენას ყურადღებასაც არ აქცევს. ამავე დროს [illegible] პირებს ულოლიავებს, რომელთა არსებობა ყოველ საზოგადოებაში შესაძლოა, მაგრამ ყოველ საზოგადოებაში ზურს უჩვენებენ მათ და საპატიო წევრათ არ რიცხვენ.

მიმოიხედეთ ჩვენს საზოგადოებაში... ფიქიზს, უმწიკვლოს ადამიანთა შორის თქვენ დაინახავთ შანტაჟისტს, მექრთამეს, ქურდსა და კაცის მკვლელს, რომელსაც ისეთსავე პატივისცემით, სიყვარულით და მოწიწებით ეპყრობიან, როგორც სხვა დანარჩენებს. ჩვენ არ გვეზიზღება ის პური, რომელიც ნაქურდალით არის ნაყიდი; ჩვენ გვერდს არ შეუხვევთ ავაზაკს, რომლის ხელები ყოვლად პატიოსანი კაცის სისხლითაა გასვრილი; ჩვენ არ გვეთაკილება მოვიპატიჟოთ და სტუმრათ ვეწვიოთ ქალს, რომელსაც არა ერთხელ ფულათ გაუყიდია სხეული და მთელი ოჯახის ბედნიერება შეუწირავს წუთიერ სიამოვნებისთვის.

უფლება მოსილ ცრს მრავალი სხვა საშუალება აქვს ალაგმოს მყუდრო საზოგადოებრივი ცხოვრების დამრღვევი... სკოლა, კანონი, ფული... ჩვენ კი საზოგადოებრივ აზრს უნდა დავემყაროთ, თუ გვსურს ეროვნულათ ყოველ მხრივ ჯანსაღათ ვიყოთ.

საზოგადოებრივ აზრს შეუძლია ბოროტების დათრგუნვა, მავნე პირთა გასწორება და კეთილ მოვლენათა წაქეზება.

დღევანდელი განურჩევლობა კი უფრო მეტს ზიანს აყენებს საზოგადოებას, ვიდრე უკეთური პოლიტიკა და ეკონომიური ჩამორჩენა.

თუ პოლიტიკა და ნივთიერი მდგომარეობა ჩვენს საზრუნავ საგანს შეადგენს, თუ მათი ასე თუ ისე მოწყობა ერის კეთილ დღეობის უეჭველი საფუძველია, სალი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, და ამ საზოგადოებრივი აზრით ხელმძღვანელობა არა ნაკლებ საჭიროა, მით უმეტეს, რომ ზნე-ჩვეულების შემუშავებაში გარეშე ძალა ხელს ვერ დაგვიშლის და რაშიც სრული ხელმწიფება გვაქვს იმაში ჩამორჩენა ნიშანი იქნება ჩვენი ბუნებრივი, შინაგანი უძლურებისა.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

სამხედრო მიმომხილველი ბ. დიმიტრიევი ერთად-ერთი ადამიანია, რომელიც თავის კოლეგებივით გერმანეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას აბუჩად არ იგდებს. მისის აზრით, გერმანეთმა უკვე მეტად თვალსაჩინო ზარალი მიაყენა მოკავშირეთა მენავეობას. ახლანდელი ბლოკადა სრულებით არა ჰგავს წინად დაწყებულ წყალქვეშა ნავების თარეშსო. უნდა ვიფიქროთო, ამბობს დიმიტრიევი, რომ გერმანეთი ახლა ხუთჯერ მეტ წყალქვეშა ნავებს ამუშავებსო ბლოკადის მიდამოში, ვიდრე ომის დაწყების პირველ ხანებშიო. ჩვენ სრულებით ვეთანხმებით დიმიტრიევის აზრს. ის პარტიზანულმა ბრძოლამ, რომელიც ახლა გააჩაღეს წყალქვეშა ნავებით გერმანელებმა ზღვაში, უკვე დიდი გავლენა იქონია არა მარტო ინგლისზე, არამედ ამერიკაზედაც. დიდი ბრიტანეთი სერიოზულად შეუწუხებია ბლოკადას და საპასუხოდ მზათაა შეაიარაღოს ყველა გემები არტილერიით, რომ საშუალება ჰქონდეს განაგრძოს მენავეობა, მაგრამ ასე უცბად აუარებელ გემების შეიარაღება ადვილი საქმე არ გახლავსთ გარდა აუარებელ არტილერიისა, რომლის დამზადებისათვის საჭიროა დიდი დრო და საშუალება, ინგლისელებმა ახლა არა ნაკლებ უნდა იზრუნონ საარტილერიო კომანდების შექმნისათვის. უნდა დარაზმონ ახალი ჯარი, შეასწავლონ არტილერიის ხმარება. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა დიდ ზედმეტ შრომის, უნარის და ენერგიის დახარჯვაა საჭირო, რომ ყველაფერი სათანადოდ მოეწყოს. ინგლისელებს 4 ათასამდე გემი აქვთ. თითო გემს დასჭირდება არა ნაკლებ ორის ზარბაზნისა. ეს შეადგენს სულ 8 ათასს. იანგარიშეთ, სულ მცირე, ათი კაცი, რომლებიც ამ გემების არტილერიას უნდა თან ახლდენ და გამოვა, რომ ინგლისმა უნდა მოამზადოს 80 ათასი ჯარის კაცი სავაჭრო გემებისათვის! ასეთ დიდ ზედმეტ ხარჯის გაღება იმ დროს, როდესაც მთელი ძალღონე ბრძოლის ველისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი, მეტად ძნელი საქმეა. ინგლისელები [illegible] ჩობა და უბრალოდ განგაში მათს ჩვეულებას არ შეადგენს. აი სწორეთ ამიტომაც ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ის ცნობა, რომელიც გუშინ ლონდონიდან გადმოგვცეს, სახელდობრ: პარლამენტში სამმა წარჩინებულმა და ცნობილმა დეპუტატმა გადაჭრით მოითხოვა: მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყოს გერმანეთთან ზავის თაობაზეო. თუ რა სთქვეს, ან და რით დაასაბუთეს თავიანთი შეხედულება, დეპეშიდან არა სჩანს, ვინაიდან მათი სიტყვები გადმოცემული არ არის. მხოლოდ ბონარლოუს პასუხი კი ერთის მხრივ თითქოს მოწმობს იმას, რომ მათს გულახდილ გამოსვლას შთაბეჭდილება მოუხდენია პარლამენტზე. უეჭველია, ამ ფაქტს კავშირი აქვს გერმანიის ბლოკადასთან. ის დეზორგანიზაცია, რომელიც წყალქვეშა ნავების თარეშს შეაქვს ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში, ცხადია, ბევრს დააფიქრებს და აღელვებს. აგრეთვე ამერიკიდან მოსული ცნობები ნათლათ მოწმობენ იმას, თუ რა არაჩვეულებრივი აურზაური მოუხდენია გერმანეთის ბლოკადას. 30 მთავარ რკინის გზას სრულებით შეუწყვეტია საქონლის გადაზიდვა ნავთსადგურებში, რადგან გემები ზღვაში აღარ გამოდიან. ადვილი გამოსაცნობია, რაც მოხდება იმისთანა პატარა ნეიტრალურ ქვეყნებში, როგორებიც არიან ჰოლანდია, დანია, შვეცია და სხ.

X.

ზავის გარშემო

(პეტ. დეპ. სააგ.)

ლონდონი. 8 თებერვალი. თემთა პალატა. ზავის გამოჩენილი მომხრეები, რადიკალებისა და მუშების ჯგუფიდან გამოსულნი, მათ შორის პონსემბი, ტრეველიანი და სნოუდენი მოითხოვენ, დროა დაუყოვნებლივ საზავო მოლაპარაკებას შევუდგეთო. ბონარლოუმ უპასუხა: იმის საუკეთესო დასამტკიცებლად, რომ ჩვენ არ გვსურს თავისუფლების დარღვევა, საკმარისია ის ფაქტი, რომ გულდამშვიდებით მოვისმინეთ აქ წარმოთქმული გრძელგრძელი სიტყვები. საკითხია, არის კიდევ სხვა რამ საშუალება თავისუფლების დასაცავად, თუ მარტოდ-მარტო ბრძოლაა საჭირო! რადიკალი ტრაველიანი გვეკითხება, მილიონობით მსხვერპლის გაწირვა როდემდის უნდა შევიწყნაროთ, როდესაც არის კიდევ სხვა გზაცაო. მაგრამ ამ ჟამად სხვა საშუალება არა დაგვრჩენია რა გარდა ამ ერთი ბრძოლისა. სრულიად არ მესმის, რას ნიშნავს ასეთი მღელვარება, ან რამ წარმოათქმევინა აქ ეს ძლიერი სიტყვები. ჩვენ ჩვენი პირობები გამოვაქვეყნეთ, და ეს პირობები საფუძველს არაა მოკლებული. პრეზიდენტი ვილსონი ითხოვს, რომ გერმანეთმა თავის პირობები გამოაქვეყნოს. გერმანეთი სდუმს. გერმანეთის პირობები დაფუძნებულია მის გამარჯვებაზე, რაიც თვითეულს წუთში საფრთხეს უქადის მთელს ქვეყანას. სნოუდენი ჰფიქრობს, ჩვენმა პირობებმა გააცოფა გერმანეთი და იმიტომ მძვინვარებსო, მაგრამ ავიწყდება, რომ კანცლერმა თავის უკანასკნელს სიტყვაში განაცხადა, გასამარჯვებლად გვჭირია არა მარტო მოწინააღმდეგეთა ჯარების წინ ბრძოლა, არამედ მშვიდობიან მოქალაქეთა შეძრწუნებაცაო. წყალქვეშა ბრძოლის გასამართლებლად მან სთქვა, კაცობრიობის შესამსუბუქებლად მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო, რათა ზავი მალე მოითხოვონო. ერთი სიტყვით, გერმანეთში ჰუმანობა და სიმკაცრე ერთი და იგივე შემეცნებაა. ჩვენ ვიბრძვით ტერრიტორიის შესაძენად კი არა, არამედ იმიტომ, რომ მტერს შევაგნებინოთ, ასეთი ავაზაკობა ნაყოფს არ მოუტანს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ომი დაწყებულია ცივის გაანგარიშებით, როგორც მოჭადრაკე სჩადის გადაშლილს დაფაზე. ეხლა რომ ომი გათავდეს და პრუსიის სამხედრო ორგანიზმი არ მოისპოს, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ გერმანეთი შემდეგშიაც აღარ შეემზადება მთელი ქვეყნიერების წასალეკად. თუ ეხლა მოვსპეთ, მაშინ აღარ დაგვჭირდება მეორე ჰუნიკური ბრძოლა. სრულიად არ მესმის, მაშ რატომ ჰქონდა ადგილი ასეთს ცხარე აგიტაციას, აქ, მაშინ, როდესაც თვით ერთმა უდიდესმა ნეიტრალმა ქვეყანამაც განაცხადა, რომ აქ ბრძოლა სამართალსა და უსამართლობას შუააო. ჩვენი მტრის უსამართლობამ თავისი საზღვრები გადალახა, რომლის იქით ცივილიზაცია ყოვლად შეუძლებელია და ყოველ ნეიტრალ ქვეყნის არსებობაც [illegible].

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

10 თებერვალი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. დორნა-ვატრას ჩრდილო-აღმოსავლეთით ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირე მჭიდროდ დარაზმული იერიშით წამოვიდა ჩვენი სანგრებისაკენ, მაგრამ სროლით 300 ნაბიჯზე შევაჩერეთ; დაბინდების შემდეგ მტრის რაზმები თავის სანგრებს დაუბრუნდნენ. ბრაილოვის ჩრდილო მიდამოებში სროლა იყო და ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებდნენ.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და მოწინავე რაზმთა შეჯახებაა.

ამერიკა

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების მთავრობამ ბერლინში მყოფ ესპანიის დესპანს, ორშაბათს დეპეშით გადასცა ნოტა, რომლითაც მოითხოვა განთავისუფლება გემ „იაროუდომ“-ზე დატყვევებულ ამერიკელთა. ამ მოთხოვნილების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის.

ესპანია

მადრიდი. საშინაო საქმეთა მინისტრი უარჰყოფს ცნობას, ვითომც კართაგენის მახლობლად აღმოეჩინოთ გერმანელთა წყალქვეშების სადგური. ნამდვილად კი აღმოუჩენიათ კორესპონდენციებით და წყალქვეშას ნაწილებით დატვირთული ნავი. 3 გერმანელი დაატუსაღეს.

ავსტრია

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების დესპანმა საგარეო საქმეთა მინისტრს დღეს გადასცა მემორანდუმი, რომლითაც ეკითხებიან, რა აზრს ადგია ავსტრია წყალქვეშ ბრძოლის საკითხშიაო.

საფრანგეთი.

პარიზი. ოფ. ცნობა. მენილის ბორცვის მიდამოსა და მაასის მარჯვენა ნაპირას, კარერის ტყის და ბეზანვოს მიმართულებით ზარბაზნებს ვუშენდით ერთმანეთს. გრანშენის ტყის დასავლეთის წარაფებში გერმანელების მოულოდნელი იერიში მოვიგერიეთ.

იტალია

რომი. იტალიის მთავარშტაბის ოფიც ცნობა. მდ. მაზეს მარცხენა კიდესა და ვერტობოიცის აღმოსავლეთით, ფრიჯიდას მდინარის ველში, მტრის ახალი იერიშები მოვ გერიეთ. ლოპპიოს სამხრეთით, ზემოვანოიში და კარსოზე ზარბაზნების ძლიერი სროლა იყო.

გემების დაღუპვა

პარიზი. 8 თებერვალს საღამოს 7 საათზე გამოაცხადეს შემდეგი სია დაღუპულ გემებისა: 6 თებერვალს დაღუპეს ინგლისისა „კორსოეკსადოკ“-ი 190804 ფუთის მტვირთველი, ორი მებადური გემი, ერთი 56318 ფუთის მტვირთველი, მეორე 185698 ფუთის მტვირთველი, 7 თებერვალს დაღუპავთ: ნორვეგიის იიალქნიანი გემი „ფილისოფატონ“-ი 183830 ფუთის მტვირთველი; 7 თებერვალს დაღუპეს ნორვეგიის გემი „დუკატ“-ი, 69924 ფუთის მტვირთველი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დანია

ქრისტიანიიდან ცნობაა, დანიის სტორტინგმა დაადგინა 1917 წ. ჯარში გასაწვევნი 6 თვით დაიბაროს. მათ შესანახი ხარჯი ნეიტრალობის დასაცავად გადადებულ თანხიდან დაიფარება.

„ფრანკფურტენ ცაიტუნგ“-ი იტყობინება: ინგლისსა და დანიას შუა კაბელი გადაჭრილიაო.

ბელგია

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: გერმანეთის მთავრობამ ბელგიაში მყოფ ამერიკის დესპანს შეუთვალა: სადესპანოზე ამართული ამერიკის დროშა ჩამოხსენით.

წყალქვეშასთან ბრძოლა

ჟურნალ „Scientific American“-ი გადმოგვცემს: რადგანაც ნასროლ ნაღმების გასაბათილებელი ბადეები ძალიან სუსტი გამოდგა და წყალქვეშას ნასროლი ნაღმი ადვილად ჰგლეჯს მას, ამერიკაში ახალი საშუალება გამოუგონიათ. ეს გახლავთ, თურმე, ფოლადის ფიცრები სიგრძე-სიგანით ორი ფუტი, სისქით ორი დუიმი, სიმძიმით, 30—150 ინგლისური გირვანქა. ასეთი ფიცარი 40 ჩაიწყობა ერთს იარაღში და საჭირო დროს შეკუმშული ჰაერის შემწეობით გარით გამოვარდება ყოველ ნახევარ წუთში და წუთში 2,000 შემოტრიალდება. ასეთი იარაღი გემის გვერდებზე რამდენიმეა და განსაკუთრებულის მოწყობილობით გემიდან 3 საჟენის მანძილზე წინ გაიწევს. წყალქვეშას ნასროლი ყუმბარა ამ ფოლადის ფიცრებს შუა გაივლის და გემი დაღუპვას გადარჩება. ცხადია აქ დიდი სიმარჯვეა საჭირო, რადგანაც ნასროლი ნაღმის 300—600 საჟენზე შეიძლება შეასწრონ თვალი და ეს მანქანა აამოქმედონ. ამგვარად ამერიკელებს იმედი აქვთ წყალქვეშათა ვნება თავიდან აიცილონ თავის გემებს.

გემების დაღუპვა

მას შერე, რაც გერმანელებმა წყალქვეშ ბრძოლა გააჩაღეს, მათ დაუღუპიათ მხოლოდ 70 გემი მოკავშირეებისა და 39 გემი ნეიტრალ სახელმწიფოებისა.

ამას გარდა უკანასკნელ დღეებში დაუღუპავთ კიდევ 19 გემი. სულ დაღუპულია მხოლოდ 128 გემი. საშუალო ვარაუდით დღეში 5—6 გემი იღუპება.

გერმანელთა იმედიანობა

„ჟურნალ დე ჟენევე“ გადმოგვცემს: გერმანეთის ხალხი მეტად მოჰქანცა ომმაო. ამავე დროს მთელი ხალხი, იმპერატორიდან უბრალო ქვეშევრდომამდე, დარწმუნებულია, რამდენიმე კვირის განმავლობაში წყალქვეშ ბრძოლის მეოხებით ინგლისი დაიმშევა და ქედს მოიხრისო. მასვე ბედი ეწევათ მის მოკავშირეებსაცო.

ამერიკა

მენავეობის შეფერხება

ვაშინგტონიდან ლონდონში დეპეშით ატყობინებენ: შეერთებულ შტატებში საქონლის გადატან-გადმოტანის საქმე მეტისმეტად შეფერხდა, რადგანაც ამერიკულმა გემებმა მენავეობა შეაჩერეს, სანამ სავაჭრო გემებს მთავრობა არ შეაიარაღებს.

რკინის გზებზე

ამერიკის 30 უდიდეს რკინის გზის ლიანდაგებზე ნავთსადგურებისაკენ გასაზიდი საქონლის მიღება შეწყდა, სანამ მენავეობა არ განახლდება.

უილსონის გაუბედაობა.

ამერიკის მრეწველებიც დიდათ შეაფიქრიანა შექმნილმა მდგომარეობამ, მაგრამ პრეზიდენტი უილსონი გამბედაობას ვერ იჩენს მოქმედებაში, რადგანაც, როგორც ლონდონს დეპეშით ატყობინებენ, იგი ზრუნავს იმ 12,000 ამერიკელის ბედზე, რომლებიც მტრის ქვეყნებშია მომწყვდეულიო.

საბერძნეთის მდგომარეობა

მოკავშირეთა მიერ წარდგენილ ულტიმატუმებით საბერძნეთი ერთხანად თითქოს მიყუჩდა და ყოველისფერში თანხმობას უცხადებდა მათ. იდუმალ კი იგი განაგრძობს თურმე თხუნელისებურ მოქმედობას. ამ დღეებში მოკავშირეებს აღმოუჩენიათ ფარული ფართო სანაღმო გვირაბი კორინთის არხის გასწვრივ. იგი სწორედ სამთო ბატარეის პირს ყოფილა გაყოლებული, 18 მეტრის სიგრძეზე. ერთი გალერეა კიდეც დაემთავრებინათ, მეორეც ნახევრად მაინც დასრულებული ყოფილა. შეთქმულობის გამოქვეყნების შემდეგ მუშაობა შეწყვეტილია. საბერძნეთის ადგილობრივმა მთავრობამ შემდეგი ფანტასტიური განმარტება მისცა მის შესახებ: ეს გვირაბები გვჭირდებოდა პელეპონესის რკინის გზების გასაყვანადო. გამოკვლევამ კი აღმოაჩინა, რომ ამ გვირაბის გაჭრა დაუწყვიათ გიორგობისთვის დამლევს, სწორედ იმ დამეს, რა დროსაც საბერძნეთს წარუდგინეს პირველი ულტიმატუმი. განზრახვა ჰქონიათ სულ 4 გვირაბის გათხრა. მუშაობას 8 ქრისტეშობისთვეს შესდგომიან. რომ ყურადღება არ მიეპყროთ, ჯარის კაცების ნაცვლად ამუშავებდნენ უბრალო მუშებს. როგორც გამოირკვა, თურმე საბერძნეთის მთავრობას სურვებია, ამ გვირაბიებს აფეთქება მაშინ, როდესაც მოკავშირევბი მოინდომებდნენ ლაშქრობას. ამ აფეთქებით დაანგრევდნენ მთელს კორინთის ყელს და შეუძლებელსა ჰყოფდნენ ნაოსნობას. მეფის ჯარებს ამასობაში თავისუფლად შეეძლებოდათ ხმელეთით გასვლა და ერთად შეჯგუფება.

ჰოლანდია.

ჰოლანდიის პალატამ 254 მილიონი მანათი გადასდო ომის საჭიროებისათვის. პალატის კრებაზე ულაპარაკნია პრემიერ მინისტრს გრაფ ლინდენს, საზღვაო მინისტრს რამბონს, სამხედროს—ბოსბუმს, საგარეო საქმეთა მინისტრს—ლუდოს და მიწადმოქმედებისას—პოსნიუმს.

ამავე დროს სასახლეში ყოველივე დარბაზობა და ზეიმი შეუწყვეტიათ. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

მექსიკა.

როგორც მოხსენებული გვქონდა, მექსიკამ შეერთებულ შტატებს შემოუთვალა, მენავეობა ჩვენსავით შეაჩერეთ, რათა ომის დასასრული დავაჩქაროთო.

„ნოვ. ვრემია“ ეხება მექსიკის ამბებს და გადმოგვცემს: ვაშინგტონში ნამყოფი გერმანეთის დესპანი გრაფი ბერნსტორფი, თურმე, მექსიკაში აპირებს გამგზავრებას და იქ დარჩენას. მექსიკაში ეხლა რევოლიუციაა გაჩაღებული. ეს რევოლიუცია 1910 წლიდან დაიწყო. ეს რევოლიუციონერები ავაზაკები არიან. ისინი დაუნდობლად სდევნიან და სძარცვენ ჩინელებს და ამერიკელებს, ჩინელებს უწოდებენ ჩინოსამარილოსს, ე. ი. ყვითელ ჩინელებს, ამერიკელებს კი ჩინოს-ბლანკოს, ესე იგი თეთრ ჩინელებს. მექსიკელები თავს ესხმიან ხოლმე გაქანებულ მატარებელს და მგზავრებს სძარცვენ. უკანასკნელ დროს მატარებელს დაესხნენ პაზოს მახლობლად და ყველა მგზავრები დაატყვევეს გერმანელების გარდა.

ქალაქ ხიმენეზე დაცემის დროს თეთრ და ყვითელ ჩინელებისთვის დაუჭრიათ ყურები და ცხვირები, რომლებიც იმავე ქალაქში გერმანელ ტეოდორ ჰუმოლერის მაღაზიაში გამოუფენიათ. ეს ცნობები მოთავსებული არისო, სწერს „ნ. ვ.“ კიოლნის გაზეთში და განკვიფრებულია: ასეთ ქვეყანაში როგორ მიისწრაფვის გრაფი ბერნსტორფი დაბინავებაო.

ჯერარდი

შეერთებულ შტატების ბერლინში ნამყოფი დესპანი პარიზში მისულა, იქიდან ბარსელონაში წავა ამერიკაში გასამგზავრებლად. მას უთქვამს, რომ წამოსვლისას ბერლინიდან არაფერი დაუვალებიათ რამე დითობის შესახებ წყალქვეშ ბრძოლის საქმეში.

უკანასკნელი ცნობები

გერმანელების წყალქვეშა ნავების უფროსებს ებრძანა, ამერიკულ გემების დაღუპვის დროს ზედ მყოფნი გადაარჩინონ.

—

სუასონის მიდამოებში გერმანელები დიდძალ ჯარს უყრიან თავს. ჰფიქრობენ, გერმანელები კვლავ აპირებენ პარიზზე გალაშქრებასო.

—

ბელგიაში გერმანელები დიდ სამზადისში არიან. ამის გამო ჰოლანდიის საზღვრები ექვსი კვირით შეჰკრეს.

—

სენატმა განმარტა ნოტარიუსობა შეიძლება ქალებმაც გასწიონო.

—

ვარშავაში მისულა თ-დი ადამ ჩარტორიისკი. ამბობენ, მას დიდ თანამდებობას ჩააბარებენო. ჩარტორიისკი საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკო ფილიპეს შვილიშვილია.

—

ესპანიის მეფემ ალფონსმა ვილჰელმს წერილით სთხოვა, მოკავშირეებს დაუთმე რამე, თორემ ესპანიის ხალხი დიდათ ჰღელავს და კონფლიქტი მოსალოდნელიაო.

—

ახალ პოლონეთის სოციალისტმა ფილიპოვიჩმა განაცხადა, ვისლის მხარეში 1,045,000 ჯარის კაცის გაყვანა შეიძლებაო.

—

მოსკოვის ქალაქის მოურავი გააფრთხილეს, უკეთუ საბჭოს კრებებზე პოლიტიკურ საკითხებს გაარჩევენ და პოლიტიკურ რეზოლუციებს მიიღებენ, ქალაქის მოურავი და საბჭოს წევრნი სამართალში მიეცემიანო.

—

გერმანეთის ქალაქ რეზნეში აუშენებია უშველებელი ქარხანა, სადაც თურმე თივისგან ფქვილს ამზადებენ.

—

ჰოლანდიის საზღვრიდან გერმანეთს ჯარი ელზასსა და ტრენტინოში გადაჰყავს. ჰინდენბურგს განუცხადებია, ნახევარ მილიონ ჯარს შევწირავ და ლომბარდიას კი დავიპყრობო.

—

გერმანეთმა შვეიცარიის ელჩის პირით ამერიკას შეუთვალა, რომ ამერიკის სამხედრო გემების გამოხვლა ზღვაში სავაჭრო გემების დასაცავად ჩაითვლება ომის საბაბადაო.

ახალი ამბავი

◆ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა, ცხოვრების თანდათან გაძვირების გამო, ჯამაგირების მომატება მოითხოვეს. ქალაქის გამგეობამ ამ შუამდგომლობათა გამო ცნობების შეკრება და შესაფერის მოხსენების შედგენა მიანდო გამგეობის წევრს ბ-ნ ათაბეგოვს. ამ უკანასკნელს საჭიროდ უცვნია მოსამსახურეების შუამდგომლობის დაკმაყოფილება და უკვე შეუმუშავებია საბჭოსათვის წარსადგენად მოხსენება. ამ მოხსენების მიხედვით, ქალაქის სახელოსნოებში მოსამსახურეთ ძირითადი ჯამაგირი უნდა გაუდიდდეთ თვიურად 1500—1800 მანეთით, ხოლო ტრამვაის მოსამსახურეთ და ქალაქის თვითმართველობის დანარჩენ მსახურთ დამატებითი ჯამაგირი უნდა მიეცესთ ომის გათავებამდე. პირველ მათგანისათვის, ე. ი. ტრამვაის მოსამსახურეთათვის მისაცემად ბ-ნი ათაბეგოვი ვარაუდობს წლიურად 211.380 მან., ხოლო დანარჩენ მოსამსახურეთათვის 172.000 მან.

◆ **მეხილეთა ამხანაგობის „ქართლის“** წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია დღეს, 11 თებერვალს, ქ. გორში, საღამოს 4 საათზე.

◆ **დიდი საღამო.** მოვაგონებთ ჩვენის გაზეთის მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება „ახალ კლუბში“ მართავს დიდ საღამოს, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ქართულ საქველმოქმედო საქმეებს.

◆ **ქალაქის საბჭო** ორშაბათს, 13 თებერვალს, განიხილავს გამგეობის მოხსენებას შესახებ 4 მილიონ სესხის აღებისა, რაიცა საჭიროა ქალაქის მოკლევადიან სესხების გასასტუმრებლად.

◆ **მოადგილის არჩევა.** აწ განსვენებული შ. ქ ყიფიანი ქალაქის ლომბარდის გამგის მოადგილედ ითვლებოდა. ქალაქის საბჭომ მომავალ ორშაბათს, 13 თებერვალს, უნდა აირჩიოს ვინმე განსვენებულის სამაგიეროდ.

◆ **ქართ. საქველმოქ.** საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა 9 თებერვალს, გადასდვას ბათომის ოლქში არსებულ საზოგადოების სკოლებთან ბაღების გასაშენებლად 10 ათასი მანეთი და ამ ფულიდან ცხლავე გაეგზავნოს ბათომის განყოფილებას 2,000 მანეთი.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა** კავშირის მონაწილეთა წარმომადგენლების კრებამ 9 თებერვალს 1) განიხილა და დაამტკიცა კავშირის 1917 წლის მოქმედების გეგმა; 2) დაადგინა დეპეშა გაუგზავნოს მოსკოვის სახალხო ბანკს და სთხოვოს, რომ ბანკის განყოფილება მოაწყოს თბილისში, ხოლო სანამ ეს მოხერხდებოდეს, საკომისიონერო კანტორა გახსნას აქ; 3) გადასწყვიტა, რომ ყველა კოოპერატივმა საწევრო გადასახადი ამა წლის 1 მკათათვემდის შემოიტანოს კავშირის კასაში და ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, გამორიცხულ იქმნას კავშირიდან; 4) დაამტკიცა კავშირის წარსული 1916 წლის მოქმედების ანგარიში; 5) განიხილა და დაამტკიცა კავშირის 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის საერთო ჯამი ნავარაუდევია 168,000 მან.; ამ ხარჯთ-აღრიცხვით, კავშირის პირველ გამგეს წლიური ჯამაგირი ეძლევა 5,400 მან., დანარჩენ 2 გამგეთაგანს თითოს დანიშნული აქვს 3,000 მან., სავაჭრო აგენტს 3,000 მან., ორ იმის თანაშემწეთაგანს თითოს 2,400 მან., ადგილობრივ საქონლის მყიდველს 1,800 მან. და მდივანს 2,100 მან. წარსულ წელში კავშირის საწყობის გაძარცვის შესახებ, რომლის ღირებულობა უდრის 31,307 მან. 52 კაპ., კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: ზარალი განაწილებულ იქმნას მოკავშირე კოოპერატივთა შორის, თითოეულ მათგანის წევრთა რაოდენობის მიხედვით; ხვედრი გადასახადი კოოპერატივებმა შემოიტანონ კავშირის კასაში მომავალ იანვრის 1 რიცხვამდის. ზარალის აღსადგენად დახარჯული ფული კოოპერატივებმა შემოსავლიდან აუნაზღაურონ კასას 3 წლის განმავლობაში.

კრების გაგრძელება გადაიდვა შემდეგის დღისთვის.

◆ **კავკავიდან** ბ-ნი ს. ქვარიანი დეპეშით იტყობინება, რომ თბილისში ამ დღეებში წამოვა თბილ. გუბერნატორის რწმუნებული სურსათის დამზადებისა აგრონომი დალაქიშვილი. მსურველთ შეუძლიათ ცნობებისათვის მიმართონ „ხლებ არმიაში“.

◆ **პოეტ შიო მღვიმელის** (შ. ქუჩუკაშვილის) ავადმყოფობა. ამ დღეებში პოეტმა შიო მღვიმელმა მარჯვენა ფეხი მოიტეხა. ავადმყოფს ექიმი ივ. გომართელი სწამლობს.

◆ **სატახტო ქალაქებსა და კავკასიას** შორის შემცირება მატარებლებლებისა ამ თვის 21 გაგრძელდება.

◆ **თ. კონ. აფხაზის გამგზავრება.** თბ. საგუბერნიო მარშალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი თავ. კონ. აფხაზი თებერვლის 9 პეტროგრადს გაემგზავრა. მის აქ არ ყოფნის დროს, საგუბერნიო მარშლის თანამდებობას ასრულებს მეფის სასახლის კამერგერი თ. დ. ჩოლოყაშვილი.

სადგ ნატანები (გურია)

თებერვლის 7 ღამის 9 ს. შემდეგი უბედურება დატრიალდა. სადგ. სუფსიდან მომავალი ორი ორთქლ-მავალი მემანქანეთა გაუფრთხილებლობით დაეჯახა სადგ. ნატანებში მდგარ მატარებელს. ორივე ორთქლმავალი დაიმსხვრა, დაზიანდა მატარებლის რამდენიმე ვაგონი. ორთქლ-მავალს მოჰყვა და გაისრისა მემანქანე კვერენჩხილაძე, ერთიც სასიკვდილოდ დაშავდა, ხოლო 8 კაცი მსუბუქად.

სოფ. უკანეთი (ქუთ. მ.).

29 იანვარს, მაცხოვრის ეკლესიაში ახლად გარდაცვალებულის ალექსი ჰიჰინაძის სულის მოსახსენებლად მღვდელმა მიხეილ ბუჩიძემ წირვა და პანაშვიდი გადაიხადა. დაესწრენ ადგილობრივი სამინისტრო სკოლის მოსწავლეები თავის მასწავლებლებითურთ.

ქ. გუმბრი.

— 29 იანვარს გუმბრიდან რვა ვერსის მანძილზე სადგურ ორთაკლისში თბილისიდან მომავალი მატარებელი დაეჯახა იქვე მდგომ ვაგონებს და დაიმსხვრა. იმსხვერპლა 30 კაცი. დასახიჩრდა აგრეთვე 60-მდე კაცი და ქალი. ამათ რიცხვში დაიღუპა 9 ჯარისკაცი, რომელნიც 4 თებერვალს ქ. გუმბრში მიწას მიაბარეს. დაჭრილები ყველანი სავადმყოფოში მიათავსეს.

— გარნიზონის უფროსმა ბრძანება გამოსცა სამხედრო ნაწილების უფროსების საყურადღებოთ, რომ ყველა თავისუფალი ადგილები დაიკავონ და ბოსტნები გააშენონ, რომ ამით სამხედრო უწყების ხარჯები შეუმცირონ, რაც ომისათვის დიდი დახმარება იქნება. აგრეთვე ყველა ლაზარეთების უფროსებს უბრძანა, რომ შინაური ფრინველები მოაშენონ ავადმყოფების საჭიროებისათვის.

ბურჟუაზია

ჟან ჟორესის წიგნიდან L'armée neuvelle (ახალი არმია)

(დასასრული)

ბურჟუაზია მთელ ერისათვის მუშაობს და სოციალურ სამართლიანობამდე მაღლდება.

ბურჟუაზიას მუდმივი დავა და კონფლიქტი მოსდიოდა სხვა კლასებთან, რომელთაგან ერთნი წარსულის მტკიცე ძალას წარმოადგენდნენ, ხოლო მეორენი მომავლის დაუცხრომელ და მოუთმენარ ძალას. ხანდახან იგი ორსავე ფრონტზე იბრძოდა და ერთდროულად იგერიებდა არისტოკრატიულ კონტრ-რევოლიუციასაც და პროლეტარულ რევოლიუციასაც. ხანაც ერთ კლასს მეორის დასამარცხებლად იშველიებს. საოცარია ბურჟუაზიის მოძრაობა, გასაოცარია მისი ელემენტების ნაირ-ნაირობა, იმდენად საოცარია ერთიცა და მეორეც, რომ ბურჟუაზია, ასე გასინჯეთ, ერთის ფრთით—პატივმოყვარეობის ასპარეზზე—კეთილშობილთა წოდებას ეხება, ხოლო მეორეს ფრთით—საქმიანობის ასპარეზზე—ხალხის მასსასა და კლასებს. და ვინაიდგან იგი განახლების მუდმივს პროცესში იმყოფება, ამიტომაც სულ ადვილად განიშორებს და განაგდებს იმ თავის ელემენტს, რომელიც თავს შეირცხვენს დროებით სარგებლობის მექონ, გარნა დახავსებულ და შემავიწროებელ კომბინაციებით. ასე, მაგალითად, 89 წლის რევოლიუციურმა ბურჟუაზიამ განაგდო ძველი რეჟიმის მთელი ის ბურჟუაზია, რომელიც მონარქიას ჰყავდა დაქირავებული და განწესებული სხვა და სხვა თანამდებობაზე და ხელი შეუწყო ბურჟუაზიის შეჭრას მოსამართლეობისა და საფინანსო წრეებში.

საერთო ინტერესებისა და ტენდენციათა ძალით, ბურჟუაზია კლასს წარმოადგენს. მაგრამ იგი ორ ადგილას ღიაა გარეშეთა გავლენისათვის. ჯერ ერთი, რადგან ბურჟუაზია ისეთი კლასია, რომელიც მის გარეშე მყოფ წრეებისათვისაც მუშაობს, ამიტომაც არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიოს იმათ, ვისზედაც მისი გავლენა ვრცელდება და ამიტომაც, აგრეთვე, იგი არას გზით არ ჩაიდენს, რომ ხალხის მასსის განათლება, მის შრომისა და ყიდვის უნარი საშუალო დონეზედ დაბლა ჩამოვიდეს. ამასთანავე, ბურჟუაზიის შემადგენლობის ნარევი სასიათის წყალობით მის წრეში მუდამ ისეთი ელემენტები ტრიალებენ, რომლებიც თვით ბუნებით სრულიად ჰარმონიულად არიან შეწყობილი თავის დროის ახალ ძალებთან. ეს ელემენტები არიან ინჟინრები, მეცნიერები, მხატვრები, ყველა ის ვაჟკაცი და ნამდვილათ უანგარო ბურჟუა, ვინც მუშათა მოძრაობასა და ბურჟუაზიულ მოძრაობის შემოხლის მიჯნაზე სდგას.

ესენი ბურჟუაზიას ეკუთვნიან, ადიდებენ მის სოციალურ მისიას, დიდს მომავალს უგალობენ მას, მაგრამ ამავე დროს, რადგან თავისუფალნი არიან შრომის მიმცემთ რომ აწევთ იმ პასუხისგების გრძნობისგან, ამიტომაც ბურჟუაზიის ეს უანგარო ელემენტები აფართოვებენ ბურჟუაზიულ კულტურის აზრს სოციალურ სამართლიანობამდე. ესენი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის სინტეზს ჰქმნიდენ იმ ძალთა თანაბრობის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ევოლიუციის ამა თუ იმ მომენტში არსებობდა.

ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ინტერესები.

საუკეთესო საშუალება, რომელიც მიუხედავად მძაფრ კლასიურ ბრძოლისა სამშობლოს სუსტ ერთობას სიმჭიდროვეს იცავს, საუკეთესო საშუალება, რომელიც სამშობლოს უფრო მტკიცე და დაურღვეველ ერთობას მიანიჭებს, მიზეზი იმისა, რომ მუდამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ერთი მეორის მძულვარებით აღსავსე ჯგუფები მაინც ერთსა და იმავე ერს ერთი საზოგადოებისა და ერთი კულტურის მატარებელნი და შემოქმედნი არიან,—ის გარემოება გახლავთ, რომ მებრძოლი კლასები, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა ბრძოლის დროს ერთმანერთის სასარგებლოდ იღწვიან და საერთო თანამშრომლობით უფრო რთულ წყობილებისაკენ მიდიან.

⁂

ბურჟუაზია მუშათა კლასისთვის თავდაპირველად დიდი და მკაცრი აღმზრდელი იყო. პროლეტარიატი რევოლიუციის სიმაღლეზე მხოლოდ ბურჟუაზიის გაკვეთილის შემწეობით ავიდა: იმოქმედა ამ უკანასკნელის გამბედაობამ, მისმა ნიჭმა საერთო სურათის დანახვაში და გადამწყვეტ ნაბიჯების გადადგმაში. მაგრამ ბურჟუაზიამ კიდევ მეორე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია პროლეტარიატს. მან თავის პირველ გამარჯვებასთან ერთად კლასიური ეგოიზმი გამოიჩინა და ამ გარემოებამ მუშას ასწავლა, რომ ის უწინარეს ყოვლისა მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს. დაბეჩავებულმა პროლეტარებმა შეიგნეს, რომ ადამიანის უფლებაში თვით უნდა შეიტანონ აზრი და შინაარსი. მეორე მხრივ ბურჟუაზიისთვისაც სასარგებლო იყო იმის ცოდნა, რომ პროლეტარიატი არ წარმოადგენს პასიურ ძალას, რომ თუ ეს კლასი რევოლიუციაში ჩაებმება, თავის კერასაც მოითხოვს. და თუმცა ეს აზრი ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ ამ გარამოებამ ბურჟუაზიას რევოლიუციური ენერგია და რწმენა შეჰმატა. [illegible] კარგად უთხრა ბონაპარტს: „შეიძლება დაყრდნობა მხოლოდ ისეთ რამეზე, რაც გეწინააღმდეგება“.

⁂

რადგან მუშათა კლასმა იმ თავითვე ერთგვარი დამოუკიდებლობა გამოიჩინა და დიდი რევოლიუციიდან, რამდენადაც ეს იმ დროს შესაძლებელი იყო, თავისი საკუთარი რევოლიუცია გამოსჭედა, სახელოვანმა და გაბედულმა ბურჟუებმა დაინახეს, რომ მათ თვალწინ არაჩვეულებრივი ძალები იყო დაგროვილი. მათ ხელში უძლიერესი იარაღი აღმოჩნდა. მილიონი სული ადამიანებით გაძლიერებული. ამ იარაღის შემწეობით შეიძლებოდა მთელს ქვეყანასთან შებრძოლება, არისტოკრატიასთან, სასულიერო წოდებასთან, მეფეებთან, აჯანყებულებებთან, უცხო თავდამსხმელებთან, თვით ამ ბურჟუაზიულ ელემენტებთან კი, რომელიც ამბოხებულ რევოლიუციას ეწინააღმდეგებოდა, შეიძლებოდა ყველაფრის დაძლევა და შებოჭვა იმ პირობით, რომ ხალხსაც თავისი წილი რგებოდა, დიდი დემოკრატიული იმედები შთაჰგონებოდა, პოლიტიკური და სოციალური გარანტიები მისცემოდა: ისე კი, რომ ამ გარანტიებს და იდეებს არ შეებღალა ბურჟუაზიული საკუთრების პრინციპი.

დამეკარგა

ჩერქეზოვის ქუჩაზე რიდიკული მღვდლის ჯვრით და ძეწკვით, მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ დამიბრუნოს და რაც დანაკარგი ღირს—მეტს გადავიხდი მადლობით. **მისამართი:** მეთერთმეტე პოლიციის ნაწილი ანიჟეს ქუჩა სახლი **შჩერბაკოვისა № 4.** ოთახი 7.

ოქტავ მირბო*)

(1850—1917)

სხვა დროს და სხვა პირობებში ოქტავ მირბოს გარდაცვალება დიდ ხმაურობას გამოიწვევდა მთელს მსოფლიოში საზოგადოდ და კერძოდ საფრანგეთში. მეტად მძიმეა ამ საზოგადო დრტვინვაში და ძაძამოსილობაში განსაკუთრებული ცრემლი გაიმეტოს ადამიანმა, თუნდა ასეთ ძლიერ პიროვნებათათვის, რომელთა წარმოშობას წინწასული ერებიც კი მხოლოდ საუკუნოებით მოელიან. ჟან ჟორესის გამირული შუბლი, ვერჰარნის ნაფლეთებით რუენის მსრბოლელი მატარებლის თვლების გაპოხიერება, თუ ოქტავ მირბოს მოულოდნელი მიცვალება საზოგადო წუხილის შავს ზეწარში გამოხვეულა და მიტომაც არის, რომ მათს პროფილს ვერ შეეხა სასურველი შარავანდედი, გლოვის შავმა სხივებმა დაჰფარეს მათი დანაკლისის აუნაზღაურობის სიმძიმე.

ოქტავ მირბოს პიროვნება ფრიად რთულია. მას იცნობენ როგორც დემონს, ფრთებ დამსხვრეულს სატანას, რომელიც თვით ღმერთის ღმერთობას

მოხსენება ხევსურეთზე

(დასასრული)

ძარცვა-გლეჯა დღე მუდამ უფრო მატულობს ხევსურეთში და დარბევა ხშირდება. მთელი ხევსურეთი „ბრძოლის“ ასპარეზათ არის გადაქცეული. ზემოდ აღნიშნული გვქონდა, თუ რა მცირე რიცხოვანნია ხევსურთა ჯოგები ბუნების ხასიათის გამო.

საშუალო რიცხვი რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ ზემოაღნიშნულ 5 სოფელში 1 თიბათვემდე გაუტაცნიათ და წაუსხავსთ თითქმის ხევსურების მთელის ქონების მეოთხედი. მრავალი მათგანი დღეს სრულიად გაღატაკებულა. სარჩო-საბადებელს მოკლებულნი, იგინი ყოველ წუთს შიშს განიცდიან საკუთარ არსებობაზედაც, რადგან ყველა მათგანი ქისტებთან შუღლსა, მტრობასა და „სისხლის აღების“ საქმეში არის ჩარეული.

ასეთ პირობებში ერთი ხსნა, ევროპიელების წარმოდგენით, თავის გამოსვლა იქნებოდა. ხევსურს ისტორიული ხასიათის და ტრადიციის სიმტკიცის გამო არც თავის კერის მიტოვება შეუძლია. სწამს მას ჯერ კიდევ კერის ღმერთი და ხატი მამულისა, იგი შესისხლხორცებია სამშობლოს მთებს, სასოებით ეკიდება თავის წინაპართა საფლავებს. აგრეთვე სარწმუნოებრივი რწმენა და შეგნება პატიოსნებისა ადამიანის დანიშნულებისა და ზნეობრივ პასუხისმგებლობისა თემის წინაშე იმდენად ძლიერია ხევსურთა შორის, რომ ძნელად თუ რომელიმე მათგანი დასთმობს ყველა ამას და გაჭირვების დროს მიატოვებს თავის სალ კლდეებს.

ზემოდ აღნიშნული ფაქტები ნათლად ღაღადებენ იმ სულიერ განწყობილებასა და გულისთქმაზე, რომელსაც დღეს ხევსურეთი განიცდის. მომავალ ცხოვრების გასათვალისწინებლად ხევსურს აქვს ამ ჟამად მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც მას უკარნახა თანამედროვე ომის მწარე გამოცდილებამ: დღითი-დღე, ყოველ ხევსურის სამხედრო სამსახურში გაწვევით, მათი მდგომარეობა უფრო და უფრო აუტანელი ხდება და ამიტომ ხევსურების წინაშე ამ ჟამად აღმართულია მეტად მძიმე საკითხი თავდაცვისა, მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველყოფისა, საკითხი ყოფნა არ ყოფნისა. ამ მწარე სინამდვილეს და მტანჯველ საკითხს მთლათ შეუპყრია დღეს ხევსური მთელის თავისი არსებით და მისი კულტურული ღონის მიხედვით მეტათ დამაფიქრებელი სახე მიუღია. ამასთანავე ხევსური, ხედავს რა, თავის უმწეო მდგომარეობას თანდათან რწმუნდება, რომ იგი „ღმერთსაც და კაცსაც“ დაჰვიწყებია, რომ არავინ ჰყავს მზრუნველი, კეთილისმყოფელი. და ეს აზრი არასოდეს ყოფილა ისე მართალი, როგორც დღეს, არასოდეს მთელ დიდიხნის არსებობის დროს, ხევსური ისე გაჭირებული არა ყოფილა, როგორც დღეს. უწინ, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ხევსურეთს გარკვეული ჰქონდათ თავისი მდგომარეობა: შეგნებული ჰქონდათ თავისი მოვალეობანი და უფლებანი მრთელ ეროვნულ ერთეულში. იგი იცავდა საქართველოს სამზღვრებს, იშვიათის აღფრთოვანებით და სიხარულით, როგორც, შეჰშვენის თავდადებულ ქვეშევრდომს, მოეშურებოდა მეფის ბრძანების ასასრულებლად, რათა ბარის მცხოვრებთათვის ეჩვენებინა მაგალითი ქველობისა და იშვიათი ვაჟკაცობისა. მართლაც და იშვიათად თუ ვინმე ისეთის რაინდულ სილამაზით დაუხვდებოდა სიკვდილს მეფისა და სამშობლოსათვის, როგორც ხევსური. ამ პირობებში აღზრდა ხევსურმა თავისი ეროვნული ხასიათი, ამ რწმენაში ჩამოაყალიბა თავისი ისტორიული სახე. ასეთივე შეუერთდა იგი დიდს ხელმწიფეს, ასე შევიდა ქვეშევრდომად დიდი რუსეთისა. არ ჰღალატობდა ხევსური თავის ეროვნულ სახეს წარსულში და არც უღალატნია მისთვის ეხლაც. იგი მუდამ სიმართლით და იშვიათის თავგამოდებით ემსახურებოდა მას: სისხლის ფურცლები რუსმთიულთა (შამილი) სასტიკ ომების ხმა მაღლა ღაღადებენ ამას. „კავკასიონის დამშვიდებითაც კი არ დამთავრებულა „ეს მისია“ და სამსახური ხევსურებისა. ისინი კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას ქისტების ბარბაროსულ და ავაზაკურ ინსტინქტების წინააღმდეგ. ადმინისტრატიული არქივი სახელმწიფო დაწესებულებათა სავსეა ამ ბრძოლის ეპიზოდების აღწერით. გარნა, ხევსურის ძველებურ თავდადებულ სამსახურს მოაკლდა ძველებურივე გულშემატკივარი და შემწე. ქართველ მეფეების დროს ხევსური სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყო და საზღვრების დაცვაში იღებდა განსაზღვრულ ულუფას, სახელმწიფო დახმარებას. ეს შემწეობა მოაკლდა, მოვალეობა კი ძველი დარჩა. წარსულ საუკუნის განმავლობაში ხევსურიც ამიერ-კავკასიის სხვა ხალხთან ერთად ჩაება მძიმე სახელმწიფო გადასახადებში. და კვლავინდებურად იგი ამ ახალ მოვალეობისაც პატიოსანი და ჩუმი აღმსრულებელი გახდა. დღესაც, მიუხედავად ეკონომიურ დაქვეითებისა, ხევსური სახელმწიფო ხარკს პირნათლად იხდის. მაგრამ, სამაგიეროდ იგი, როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების ყოველგვარ მზრუნველობას არის მოკლებული. სკოლებსა, გზებზე და სხვა კულტურულ-სახელმწიფო დაწესებულებათა-მზრუნველობაზე ლაპარაკი მეტია. ყველა ეს არც ყოფილა, არც არის და არც მოსალოდნელია ახლო მომავალში. ასი წლის განმავლობაში ხევსურეთს დადებითი მოღვაწეობა სახელმწიფოსი არ უნახავს, უარყოფითი კი დიდი, განუწყვეტელი. ხევსურები ადმინისტრატიულ და პოლიციურ მზრუნველობასაც კი მოკლებულნი იყვნენ ამ ბოლო ხანამდე. ცხოვრების უზრუნველყოფა, შიში სიკვდილისა და ქონების გატიალებისა, მუდმივი არევ-დარევა ცხოვრებისა, დანაშაული და ბოროტებანი, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა მე-18 საუკუნისა, თუ გაძლიერებით არა, თითქმის უცვლელად გადაეცა მე-20 საუკუნეს. მეცხრამეტე საუკუნე უკვალოდ არის ჩავლილი. მაგრამ ამ აუწერელ გაჭირვებაში ხევსური მაინც ისევ ხევსურად დარჩა.

როგორის წრფელის, უტყუარის აღფრთოვანებით და პატრიოტულ გრძნობით შეხვდა ხევსური თანამედროვე ომს, ზემოდ უკვე მოხსენებული გვქონდა. მაგრამ ომის მიერ გამოწვეულ უბედურებათა გამო ძალაუნებურად ჩაჰქრა ხევსურის ეს აღფრთოვანება და მის წინ, მთელი თავისი სიმძაფრით (სიმშილისა, სიღარიბისა და მუდმივ ყაჩაღობის გამო) აღიმართა საკითხი თავის საკუთარ სიცოცხლის შენარჩუნებისა. ყაჩაღობა დღითი-დღე იზრდება, ქისტების მტრულ თარეშს საზღვარი არ უჩანს, პირიქით იგი უფრო ფართო ხასიათს იღებს და ფართო ასპარეზზედაც იშლება. თუშებსა და ფშაველებზე თავდაცემამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ამ ხალხს დედა მიწის ზურგიდან აღგვას უქადის. ერეკებიან საქონლის მთელს ნახირებს, 1000 და მეტს სულს, უმოწყალოდ ჟლეტენ მწყემსებს. ს. პანკისში, სადაც ამას წინედ მოხდა შეტაკება და რომელშიაც ორივ მხრივ მონაწილეობას იღებდა 500—600 კაცი, იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ ეს შეტაკება საშუალო საუკუნოების დიდს ომებს მოგვაგონებდათ. მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელი საკმაო ძალების უქონლობისა გამო, იძულებული იყო მხოლოდ გულ-კეთილ მომრიგებელ შუამავლის როლი შეესრულებინა.

თუშებსა და ფშაველებზე თავდასხმით სხვა ხასიათი ეძლევა საკითხს და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დიდათ ღრმავდება. კარგად მოეხსენებათ, რომ ის უმთავრესი ადგილი, საიდანაც რუსეთი ეზიდება მატყლს, არამც თუ თავის საჭიროებისათვის, არამედ ზედმეტიც კი გააქვს საზღვარ გარეთულ ბაზარზე, არის კავკასიის ქედის სამხრეთი ფერდობი, თავისი შრომის მოყვარე მოსახლეობით, თუშებით და ფშავებით. სამხედრო საჭიროებისათვის სამრეწველო ძალების მობილიზაციამ გვიჩვენა, თუ რა დიდს დახმარებას უწევს ეს პატარა მხარე „სამშობლოს დაცვის“ საქმეს. მარტო ალვანის საზოგადოებამ იკისრა „მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისათვის“ 60,000 ფუთი მატყლის მიყიდვა. მთავრობამ, რომელიც ასე ცდილობს რუსეთის შინაურ ცხოვრების მოწესრიგებას, არ უნდა დასტოვოს ეს საკითხი უყურადღებოდ. „სამშობლოს თავდაცვის“ იდეის განხორციელებისათვის საჭიროა მცხოვრებნი ისეთს პირობებში იქმნან ჩაყენებულნი, რომ მათ უფრო მეტის ხალისით და სიყვარულით, მეტის ნაყოფიერობით შესძლონ ემსახურონ ამ წმიდა საქმეს. თუ სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, რომ სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულ იქმნან ისეთ მომხმარებელ დუქნების მოსამსახურენი, რომელთაც თავის მოღვაწეობის მიზნით იშვიათად რომელიმე ქალაქის რაიონს აკმაყოფილებს, მაშინ იგივე სახელმწიფო ინტერესი უნდა გვიკარნახებდეს დავეხმაროთ იმ ხალხს, რომელიც ასეთს თვალსაჩინო სამსახურს უწევს სახელმწიფოს და მის სამხედრო საჭიროებას. წარმოუდგენელია, რომ ამ ხალხს დაუნდობლად და ავაზაკურად სწეწდნენ, სტაცებდნენ სარჩო-საბადებელს, და ამით, რა თქმა უნდა, სამხედრო საჭიროების დაკმაყოფილებასაც ხელს უცარავდნენ. მომავლის უმწეო და უპატრონო მდგომარეობის შეგნება, და თუშ-ფშავ ხევსურების აწმყო ტანჯულ ცხოვრების გათვალისწინება აიძულებს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გამართოს საგანგებო თათბირი თიანეთის მაზრის ფშავ-ხევსურების მდგომარეობის დაწვრილებით გამოსარკვევად. ამასთანავე საჭიროა შეძლებისდაგვარად სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულ იქმნან ქართველი-მთიული მოლაშქრენი, რათა ადგილობრივ საგუბერნიო ადმინისტრაციის ზედამხედველობით მათ თავდაცვის საქმე ჯეროვანად მოაწყონ დი ამ გზით შეძლება მიეცესთ ჯარის საჭიროებისათვის საჭირო მაუდი, მატყლისა და თექის თბილი ხელთსაქმარი დაამზადონ. ამ საქმის ხელმძღვანელობას თავს იდებს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, თუ რა თქმა უნდა, უმაღლესი მთავრობა მას თავის მაღალ მფარველობას არ მოაკლებს.

შ. ქარუმიძე.

გესლიანის ხითხითით შეჰყურებს მიწაზე დანარცხების შემდგომაც კი. ჯერედ ჰაბუკი, ვარსკვლავთა ფერხულში მოცეკვავე მჭმუნვარების შავს ცრებს მიმოაფრქვევდა და ვაი მას, ვისაც ერთი მათგანი მაინც მოჰხვდებოდა! ოქტავ მირბოს სახით, მის ნაწერებში მიმოჰქრის შავი რაინდი, თავხედი, კადნიერი, ცეცხლის რახტით შეიარაღებული, რომელიც ჩვეულებრივს მიმდინარეობას რღვევის ნიაღვრად და ნებისყოფის აღმოხეთქილ ძლიერს პროტესტად გარდაიქცა. ყოველისფერი ის, რასაც იძახიან გარდაუწყვეტელ პრობლემებს, ახალისა და ძველი რუტინის შეჯახებას, კაპიტალსა და შრომას, მონას და ბატონს, თავისუფლებას თუ ბორკილს, სახელმწიფოს თუ ტრადიციას, ეკლესიას თუ პირად რწმენას, კიკლუც იდეალებს, პრინციპებს, სამინისტროს, პარლამენტს, გენერლობას, სამშობლო მოვალეობას, მეცნიერებას, სოციალიზმს, ერთი სიტყვით, ყოველისფერი, რაც ჩვეულებრივს ენაზე სახელმწიფო ცხოვრებად იწოდება, მირბოს მიერ გამოცხადებულია ერთად-ერთ ბიწიერების მექანიზმად, რომლის თვითეული რგოლი შმორის სუნს უშვებს, ჰშხამავს ჰაერს. ყოველგან, სადაც კი შეიხედა მისმა ორბისებურმა მჭრელმა თვალმა, საზიზღარი ბაზრობა დაინახა, სადაც ურცხვად ვაჭრობენ სინიდისით, პატიოსნებით, სადაც ყველანი იმდენს უგრძნობლობამდინ მისულან, რომ სიწითლის უნარიც კი დაჰკარგვიათ, რათა მთრთოლვარე ხელით მამათ-მთავარ ადამსავით ლეღვის ფოთლის აფარება შესძლებოდათ უმზგავს სიშიშვლის დასაფარავად. სასტიკს მხილებელს, კადნიერს მოფარიკეს არავინ გადარჩა გაუმათრახებელი; სამინისტრო, სასამართლო, ეკლესია, პრესა მის თვალში ერთობ გახრწნილია, ყოველგან შარლატანებს ვხედავთ, ქურდებს, ავაზაკებს. რომ შეიქმნეს სახელმწიფო კაცი, ადამიანმა უწინარეს ყოვლისა, უნდა დაჰკარგოს პიროვნება;—უმაღლესი ღირსება სახელმწიფო მოღვაწისა ისაა, რომ უპიროვნო გახდეს. ჟორჟ ლეიგი, მაგალითად, მისი საყვარელი გმირი „ოცდა ერთი დღე ნევრასტენიით ავადმყოფი"-სა, სწორედ ასეთი განახევრებული ადამიანია. ეს მინისტრი იმითი მინისტრობს, რომ ყველასთან ყველაა, სწორ-უპოვარი ქამელეონი, რომ ნაციონალისტთან ნაციონალისტის ქუდი დაიხუროს, სოციალისტთან-სოციალისტური, რადიკალთან—რადიკალისა და სხვა.

(დასასრული იქნება)

† ვანო გაბრიელის ძე მახარაძე

გურიაში გარდაცვლილა ვანო გ—ძე მახარაძე. პატარა კაცი იყო განსვენებული, მაგრამ თავის ღონისძიებით ისიც დიდ საქმეს ემსახურებოდა. მაჰხლის ხეობაში (აჭარაში) მწერლად (ქათიბი) იყო. აჭარლების ნდობა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. ჩხუტუნეთის სკოლის გახსნაზე დიდი შრომა გასწია. მთელს სამამასახლისოში მაზე ძვირის მთქმელს ვერ იპოვიდით. ქართულ წიგნებსა და გაზეთებსავრცელებდა, ხალხს უკითხავდა, ძმობა-ერთობას უქადაგებდა. პატარა, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო, თავდაბალი, თავაზიანი. სამწუხაროა მისი უდროოდ სიკვდილი. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

აპ. წ—ძე.

გ. ილ. ალხაზიშვილის წერილის გამო

გ. ალხაზიშვილს თავის წერილში „როდემდის" ბორჯომის მამულის გაყიდვის ამბავი (საქართველო № 26) სისწორით არა აქვს გადმოცემული.

ბორჯომის მამული ავალიშვილებისაგან შეიძინა ხაზინისათვის ვორონცოვმა. ამ დროს თაქთაქიშვილებსა და ვორონცოვს შორის არავითარი მოლაპარაკება ყოფილა მამულის დათმობის შესახებ.

შემდეგ ეს მამული დიდ მთავარს მიხეილს გადასცეს.

1884 წელს, როდესაც სასამართლოს გამიჯვნა იყო, თაქთაქიშვილების მამულის კარგა ბლომა ნაწილი სადავოდ გახდა. მამული დიდის მთავრის მამულის მოსაზღვრედ იყო.

თაქთაქიშვილებმა მორიგება არ ისურვეს, თუმცა ფულით დაკმაყოფილება შესთავაზეს და საქმე წააგეს. ქართული ანდაზა მოგეხსენებათ: „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებაო"

დანარჩენი მამული დღესაც აქვთ თაქთაქიშვილებს მთავრის მამულის მოსაზღვრედ. დაკარგულ მამულში კი არავითარ პენსიას იღებენ.

გიორგი თაქთაქიშვილი.

ქარ. სასოფ. სამეურ. საზ. და ილიასეული მამული

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ ჟამათ „ილიასეულ" მამულებს, სოფ. გურამიანთ-კარში (დუშეთის მაზ.), განაგებს ქარ. სას. სამეურნეო საზოგადოება. წერა-კითხვის საზოგადოებამ ხსენებულ მამულების მოვლა-პატრონობა ვერ შესძლო, სამაგიეროთ უკეთეს გულშემატკივრის და კომპეტენტიურ საზოგადოების ხელში გადავიდა. რომ იტყვიან: „ზიარებასავით მიესწროვო", სწორეთ ასე გამოუჩნდა სოფელ გურამიანთ-კარში მდებარე „ილიასეულ" მამულებს მეპატრონედ ქარ. სას. სამეურნეო საზოგადოება. ამ, ჯერ კიდევ ნორჩ საზოგადოებას, რომ არ ეთავნა „ილიასეულ" მამულების მოვლა-პატრონობა, ძველ წესზე რომ დარჩენილიყო ამ მამულების ბედი, მაშინ სულ მოკლე ხანში, ხსენებულ მამულების ხსენებაც არ იქმნებოდა.

დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ.

რაც აქნობამდის აქ ფუჭდებოდა, ინგრეოდა, პარტახდებოდა, მას დღეს ჰპატრონობენ, მის აღდგენას და განახლებას ცდილობენ. ქარ. სას. სამეურნეო საზოგადოებამ უკვე ფაქტიურად დაიწყო მოქმედება ხსენებულ მამულებში, თავისი სამოქმედო გეგმა უკვე შეიმუშავა და შეუდგა კიდეც მისი დანდათანობით სისრულეში მოყვანას.

ვიდრე მე აქ დასახელებულ სამეურნეო საზოგადოების მოქმედებას დაწვრილებით აღვნუსხავდე, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნო „ილიასეულ" მამულების ღირსება-ნაკლულევანებაც. ეს მამულები შემკულია თავისი მდებარეობით და უფრო ძვირფასია იმით, რომ სახნავ-სათესით, ტყე-მინდორ-საძოვრით და ზვრით, სულ ერთად შეკონილი-გაჭიმულია ს. წიწამურიდან მოკიდებული მდ. თეზამის ხევამდის და მდ. არაგვიდან ზედაზნის მთამდისინ; ეს სივრცე სულ 1700 დესეტინას აღემატება, ამ სივრცეს უნდა გამოაკლდეს 550 დესეტინა ტყე და მინდორი, რომელიც გურამიანთ-კარის ადგილობრივ მცხოვრებთ შეუსყიდნიათ „ილიასაგან".

რაც დარჩება (1200 დესეტ.) ეს შეადგენს საკუთრებას და „საამკუნოს" ილიას მამულებისას. ამ მამულებს ღირსებასა და უპირატესობას, სხვა მამულებთან შედარებით, აძლევს ერთგვარი გეოგრაფიული მდებარეობაც, როგორც მაგალითად: ხსენებულ მამულებს შიგვე ჩამოუდის მშვენიერი წყაროს წყლები, რომლებიც შეკეთების შემდეგ მშვენიერს სამსახურს გაუწევს მამულებს; ახლოვე აქვს სარწყავი ნაკადულები და ბუნებრივათაც ისეა მოწყობილი ხსენებული მდებარეობა, რომ აქ და კერძოთ მთელს საგურამოში მეურნეობის და გლეხ-კაცის ნაშრომ-ნამოქმედარის განმანადგურებელი „სეტყვა" არ იცის. ამ მამულებისა ეს სულ უპირველესი და უძვირფასესი ღირსებაა. სთესავთ, ჰმოქმედობთ, შიში არა გაქვთ, ღმერთმა ციდან რისხვა არ მომივლინოსო, ხართ გულდამშვიდებული. მთელი კაცობრიობა დღეს ეძებს და იკვლევს სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებებს, აქ კი თვით ბუნებას ეს მოუსპია; თუ იცის სეტყვა, ისიც ძალიან იშვიათად 30—40 წელიწადში ერთხელ, (ამას თვით ხალხი ადასტურებს); ჰაერიც ზომიერია, ქარიც იშვიათია.

ასეთი ღირსებით შემკული მამულები დიახაც, რომ ხელსაყრელია და ძვირფასია მეურნეობის განსავითარებლად; აქ ყველა დარგი მეურნეობისა მშვენივრათა ხეირობს, უკანასკნელი კიტრი და ბადრიჯანიც კი აქ ულეველი შეუძლიან მოიყვანოს მეურნემ, თუ ხელი შეუწყო.

ყოველივე ამ ზემონათქვამის გარდა ამ მამულებს დიდს ღირსებას აძლევს ის გარამოებაც, რომ სადგ. მცხეთაზე ახლოა, და თუ საულელტეხილო გზაც გაიყვანეს, როგორც ეს გაზეთებმაც გვაუწყეს, მაშინ ხომ ეს მამულები სულ შეუდარებელი იქნება, რკინის გზა ახლო ჩაუვლის და სადგურიც ზედვე ექნება. იმ დროს ამ მამულის თითო ფეხის გადადგმა ძვირფასად ეღირება და დიდი მომავალი ექნება.

როგორც ნათქვამიდანაც დაინახავდა მკითხველი, ეს მამულები ყოველის ღირსებითაა დაჯილდოვებული და სწორეთ ამის გამო ხსენებული მამულები, ქართ. სასოფ. სამეურნეო საზ. სამოქმედოთ ზედ გამოჭრილია, თუ სივრცით, თუ გინდ მდებარეობით, ეს მამულები სამეურნეო საზოგადოებას შეუძლიან გამოიყენოს ყოველის მხრივ.

აქ შეუძლიან მეურნეობა ყოველ დარგში ისე განავითაროს და უმაღლეს წერტილამდის აიყვანოს, რომ აქ შექმნილი სამეურნეო კულტურა მთელ საქართველოს უპირველესი კულტურული სახის მაჩვენებელი იყოს.

რომ ეს მამულები ძვირფასია თავისი მდებარეობით მეურნეობისათვის, ეს შენიშნული და გათვალისწინებული აქვს სამეურნეო საზოგადოებას და სწორედ ამის გამო ეს ხსენებული საზოგადოება მრავალის გათვალისწინებულის მიზნებით და მოწიწებით თავს დასტრიალებს ამ მამულებს, რათა დღეიდანვე ყოველი მისი ნაბიჯი ნამდვილი კულტურული და წმინდა სამეურნეო სახისა იყოს.

წარსული წლის ენკენისთვიდან თავისი მოქმედება ხსენებულმა საზოგადოებამ უკვე ფაქტიურად დაიწყო და კალაპოტში ჩააყენა; დღევანდლამდისინ ბევრი საგულისხმიერო საქმე დაიწყო. ოღონდ კი თავისი მიზნები განახორციელოს ამ საზოგადოებამ და არაფერსა ჰზოგავს; დღევანდელს საზღაპრო სიძვირეში არაფერი დაზოგა; მამულებს ყოველის მხრიდან სახე უცვალა; სულ მოკლე ხანში შედარებით ბევრი საქმე გააკეთა ამ საზოგადოებამ, როგორც მაგალითად:

1) 3 დესეტინა მამული ორ ბარპირზე გადააბრუნა, სანამყენე ვაზის გასაშენებლად; 2) 6 დესეტინა მიწა მოახვნევინა „ილიას" სახახლის სახლობლადვე ბოსტნეულობის მოსაყვანათ; განზრახული აქვს კომბოსტო და კარტოფილი ბლომათ დაითესოს; 3) შემოავლო მამულს ორი ვერსის სიგრძის ახალი ღობე, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა; 4) ერთი დესეტინა კატა-ბალახაც (валеріянку) დათესა სამიწადმოქმედო დეპარტამენტის წინადადებით; 5) მასთან ათას ორმომდის დაამზადებინა, მომავალ გაზაფხულზე სხვა და სხვა ჯურა ხეხილის დასარგველად; ახე რომ მომავალ გაზაფხულზე სამეურნეო საზოგადოება 3 დესეტინა ამერიკულ ვაზს ჩაჰყრის (ერთი დესეტინა უკვე სამწლოვანი ახლათ გაშენებული მამული აქვს), 6 დესეტინასაც ხეხილის ბაღს გააშენებს; ეს გადაწყვეტილი აქვს. საზოგადოებას უკვე შეუძენია ამისთვის სანამყენეები თავისივე სანერგეში, სოფ. იყალთოში (თელავის მაზრა) კიდევ სხვა მრავალი საქმეები აქვს განზრახული ამ საზოგადოებას, რომლის თანდათანობით განხორციელება დასახული აქვს ახლო მომავალში.

თუ ხსენებული საზოგადოება ყოველ წლივ ასე ნაყოფიერათ განაგრძობს თავის მოქმედებას, მაშინ, 5—6 წლის შემდეგ „ილიასეულ" მამულებს სულ მთლად შესცვლიან ნამდვილ კულტურულ სამეურნეო ცენტრად.

ამ საზოგადოებას მარტო რაციონალურათ მიწის დამუშავებით არ უნდა გამოჰხატოს თავისი მოქმედება „ილიასეულ" მამულებში. აზრათა აქვს გაზაფხულიდან, ან შემოდგომიდან შეიძინოს ჯიშის ყოველი ჯურა საქონელი: ცხენები, ძროხები, ბუღები, ღორები და მრავალი სხვა.

თუ ამ ხსენებულ ჯიშის საქონლის მოშენებას თავს იდებს ეს საზოგადოება, მაშინ ეს სულ კარგი იქნება; მახლობელ სოფლის მცხოვრებთ ხელს შეუწყობთ ჯიშიან საქონლის მოშენება გამრავლებაში.

ყოველივე ამ ზემო ნათქვამიდან მკითხველი ნათლად დაინახავდა, რომ ქარ. სასოფ. სამ. საზოგადოებას „ილიასეულ" მამულებში ჯერ ხნობით საქმე კარგად მიჰყავს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ საზოგადოების ასეთს მხნეობას ხელს უწყობს თვით ამ მამულების გამგეც, ბატ. ივ. დ. მალალაშვილი, რომელიც ყოველ ღონესა ხმარობს, რათა საზოგადოების საქმეს წარმატება მისცეს და მათი განზრახვანი თავის წესით შეასრულოს.

შემდეგისთვის მკითხველს სხვა მხრივაც გავაცნობთ „ილიასეულ" მამულებს და სამეურ. საზოგადოების მოქმედებას.

კოტე.

ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

სამი თვე შესრულდა მას აქეთ, რაც გარდაიცვალა ჩვენის ქვეყნის სასიქადულო შვილი, ცნობილი პედაგოგი და ისტორიკოს-არქეოლოგოსი თევდორე დავითის ძე ჟორდანია. გარდაცვალებისათანავე განსვენებულის ნამოწაფართა და პატივისმცემელთა შორის დაიბადა აზრი განსვენებულის სახელობის ფონდის დაარსებისა. მხოლოდ ეს აზრი დღემდის არ განხორციელებულა. აქა-იქ ცალ-ცალკე თუ კითხება რამ, თორემ საერთო არა გაკეთებულა-რა. ცალკე ფონდის დაარსება კი აუცილებლათ საჭიროა: განსვენებულმა იმდენი ღვაწლი დასდო თავისს სამშობლოს და კერძოთ თავისს მოწაფეებს, რომ მისი გადახდა მცირედის რითიმე შეუძლებელია. უსათუოთ საჭიროა ცალკე ფონდის დაარსება, რომელიც მოხმარდება განსვენებულის აურაცხელ დაუბეჭდავ ნაწერების გამოცემას, კერძოთ სხვა და სხვა გაზეთებში გაფანტულ პოპულიარულ შინაარსის წერილების შეკრებას და ცალკე წიგნაკებათ გამოცემას: „დავით გურამიშვილი და მისი დრო", „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე", „არაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII საუკუნეში", წერილები ავტოკეფალიის შესახებ" და სხვ. და სხვ. შეიძლება კიდევ სხვა რამ მიზანი დავუსახოთ განზრახულ ფონდს. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ფულს შევაგროვებთ. ამ ჟამათ-კი უმთავრესი და ერთად-ერთი მიზანი თვით ფულის შეგროვებაა, და ამიტომაც საქმეს ნულარ გავაგრძელებთ; ამ თვითვე შევუდგეთ ფულის შეგროვებას. განსვენებულს დიდძალი პატივისმცემელი და ნამოწაფარი ჰყავს. იმედია, ისინი არ დაიშურებენ თავისს წვლილს საყვარელ და პატივცემულ ადამიანის სახელის აღსანიშნავათ და თანაც დიდ ეროვნულ საქმის განსახორციელებლად, როგორიც არის თ. ჟორდანიას ნაწერების სრული გამოცემა.

იმედია, განსვენებულის შვილებიც უარს არ იტყვიან იმაზე, რომ თუ მამის სახელზე რისიმე გაკეთება სურთ, ცალკე არას გააკეთებენ და თავის მხრივ გადადებულ თანხას მიუმატებენ საერთო ფონდს. სამაგიეროთ თვით ფონდის გამგებლობა უნდა ჩაბარდეს იმ ქართულ დაწესებულებას, რომელსაც ისინი (განსვენებულის შვილები) აირჩევენ და სწარმოებდეს მათისავე (ან ერთის მათგანის, ვისაც თვითონ დაავალებენ) უახლოესი ზედამხედველობით, რადგან, ეჭვს გარეშეა, რომ მახლობელნი ყველაზე მეტის სიყვარულით მოეკიდებიან ხსენებულს საქმეს.

ჩემის მხრივ ვსწირავ ფონდისთვის 10 მანეთს, რომელსაც ამასთანავე ვაახლებ პატივცემულს „საქართველო"-ს რედაქციას და ვთხოვ გადასცეს განსვენებულ თ. ჟორდანიის შვილებს მისის სახელობის ფონდის დასაწყებათ.

განსვენებულ თ. ჟორდანიას ნამოწაფარი **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

დაბა-სოფლები

ს. საყულიის საზოგადოება (ქვემო იმერეთი). ეს საზოგადოება შესდგება სამი სოფლისგან: ოფიშკვითისა, საყულიისა და ბაზისაგან. მცხოვრებლები მთელ საზოგადოებაში 1000-მდე იქმნება. თავად-აზნაურობა შეადგენს თითქმის მეოთხედს მთელ მცხოვრებლებისას. პირველი ადგილი განათლების მხრით უჭირავს ოფიშკვითს. ოფიშკვითში არსებობს ერთი სამინისტრო სკოლა და ორი სამრევლო. იქ არის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც მოსდის შაქარი, სიმინდი და სხვა უსაჭიროესი ნივთები. საყულია მდებარეობს ოფიშკვითსა და ბაზს შუა, აქ არის მარტო ერთი სასწავლებელი. სამინისტრო, რომლის უფროსად იყო განსვენებული ს. ცვანიძე და დიდს დახმარებასაც უწევდა. ბაზშიდაც სასწავლებლები საკმაო.

საყულიის საზოგადოებაში ადგილები სამყოფად აქვსთ გლეხობას, მაგრამ მუშა ხელი კი არ არი; ვინც გადარჩა ომში გაწვევას, ბათუმსა და სხვა ქალაქებში წავიდა, რომ იქ მაინც ცოტა რამე ეშოვნა და ცოლ-შვილი სიმშილით არ დახოცოდა. წელს მოსავალი აქეთ ძალიან ცოტა იყო და ნახევარი საზოგადოება უკვე სიმინდს ყიდულობს ფუთს ხუთ მანეთად. საკრედიტო ამხანაგობა უკვე დიდი ხანია ელის სიმინდს, რომელიც ექვსი აბაზის მეტი არ ჯდება ფუთი და ამას რამდენიმე ასი კომლი გაუსაფანქცელით უცდის. სამკითხველოს დაარსება უკვე სამ წელზე მეტი იქმნება, რომ უნდათ, მაგრამ არაფერი ეშველა მის დაარსებას.

საყულიის საზოგადოებაში და სახელდობრ საყულიაში წარმოდგენები ძალიან ძვირად იმართება, თუმცა ხალხი ძალიან მოყვარულია თეატრისა. საყულიაში არის აფთიაქი, რომლის გამგე ქლ. ლორთქიფანიძის ასული ხალხს დიდ დახმარებას უწევს. მაგრამ უექიმობა ძალიან სამწუხაროა, ომამდე აქ ორი სამი ფერშალი იყო, ეხლა ერთიც აღარ არის. საქონლის ჭირი იყო მთელ საზოგადოებაში, რამაც ოფიშქვეთი მეტად დააზარალა.

აქ ხშირად უქმე დღეს წირვა არ არის. მიზეზად უსეფისკვერობას ასახელებენ, ვერ ვშოულობთო.

გრ. აბ—ძე.

—

დუშეთის პირი. უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიანო, სწორეთ მართალია. ყველამ კარგათ იცის, რომ სოფლები დაცარიელდა.

ყველამ კარგად იცის, რომ ბავშვების და მოხუცებულების ანაბარაა. ზოგიერთებმა ახლა იპოვნეს დრო და პატრონობის მაგიერ ახლა მოიტანეს იერიში უპატრონო სოფელზე. დუშეთის პირათ ცხოვრობენ მემამულე თავად-აზნაურნი, რომლებსაც მშვენიერი ტყე და მინდვრები აქვთ. ჯერ იყო და წარსულ წელს ბატონ გენერ. ჭ—შვილის ბეგრებს ვერ მორჩა ხალხი და ახლა ბ-ნ გ. კ—შვილს მიაქვს უმწეო და უნარ-დაკარგულ ხალხზე იერიში. კარგა ხანია ბატონ გ. კ—შვილს თავისი ტყე მიუყიდნია დუშეთის სამხედრო სკოლისათვის; როგორ და რა პირობებში, ეს ღმერთმა იცის; მხოლოდ ესკაა, რომ, ქათმისა არ იყოს, ჩვენი რა ბრალია, ნუ თუ ჩვენს ასეთ ტანჯვას ბოლო არ უნდა მოეღოს? კვირა არ გაივლის, რო დუშეთის პირის სოფლები სტრაჟნიკებმა არ ააწიოკონ, 20 ურემია საჭირო, 14 ურემიაო. ჩქარა, თორემ, ხო ხედამთ მათრახს. მხეცო, გაწყდი მეთქი! „საით, შენი ჭირიმე, ბატონო",—ეკითხება გლეხი. „ღმერთმა ნუ გიცის... გ. კობიაშვილის ტყეში!.. შენს მეზობელს ჰკითხე, საითაც ის წავიდეს, შენც იქით წადი". ვის გაუგონია, ბატონებო, ასეთი ამბავი, რასაც ესენი შვრებიან. გულ-საკლავი ესაა, რომ ურმის მომხმარებელი არავ ნაა, 7—12 წლის ბავშვები დადიან ურემზე. პროგონს თავიანთ გემოვნებაზე აძლევენ: 50 კ. 70 კ. საწყინი ესაა, რომ კერძო ჩარჩი ამას ჩადის და ამისთანა მოქმედებით სარგებლობს; თორემ როდის გვითქვამს სამხედრო ბეგარაზე უარი. მზათა ვართ ყოველ წამს სამშობლოსთვის ტარიგად დავიჭრათ ფეხზემზე. თავი გაგვანებონ, თორემ მეტი აღარ შეგვიძლია. დავიჭეროთ ხელში ყავარჯნებს და ჩვენის ფეხით მოვალთ დიდის მთავრის ბინაზე, ეს არის ჩვენი დარდი.

გვიშველეთ, ვიღუპებით!

დედის შვილი.

შემოწირულება

თევდორე ჟორდანიას ნაწერების გამოსაცემ ფონდისათვის რედაქციამ მიიღო ბ-ნ იოსებ **რაზმაძისაგან** ერთი თუმანი.

შეცდომათა გასწორება

„საქართველოს" გუშინწინდელ ნომერში ქაქუთის მეჩითის სასარგებლოთ შემოსულ შემოწირულებათა სიაში საერთო ჯამში დაბეჭდილია 44 მანეთი, **უნდა იყოს 47 მანეთი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვილ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სუსუნატით (ჰონორეა)
ავადმყოფებს,
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავ დჰყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?
იმიტომ, რომ,
ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.
მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „**ურიტალი**". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ეღირება 25 მან.
უფასოდ
გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**
За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ Государственнаго Банка.

---

*) ოქტ. მირბოს თხზულებიდან ქართულად ნათარგმნია: „საქმის კაცი" ვლ. ლორთქიფანიძის მიერ, „ჟან და მადლენა"—მ. გომელაურის მიერ, პატარ-პატარა მოთხრობები—თ. სახოკიას მიერ, „ქურდი", „კერა", ნაწყვეტები „მოსამსახურე ქალის დღიურიდან" და სხვები.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კაანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4